XXI № 12 XXI

ეროვნული
ბიბლიოთეკა

31 ↗ 1910 ↗

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

ჟურნალ „ჯეჯილისა"

I ფერადი სურათი: 602
II შობა ღილით ლექსი **დ. თურდოსპირელისა** . . . 603
III წმიდა ღამე ლეგენდა სელამა ლაგერლეფისა თარგ. ფ. 605
IV უცნაური კაცი ზღაპარი თარგმანი **ტასოსი** . . 610
V პატარა სპილო მოთხრობა კიპლინგისა თარგმ. ს. ფ. 617
VI პატარა გლეხის სიმღერა. ლექსი ჰ. **დვინელისა** . . 626
VII მოტანტალე მემუსიკენი შობა ღამეს მოთხ. ტომ გალლონისა თარგმანი ნ. ბაქრაძისა 628
VIII ქოხში ლექსი **ბაბალინასი** 641
IX კავკასიის ტყვე (შემდეგი) **დ. ტოლსტოისა** თარგმანი **ერ. ვეფხვაძისა** 642
X მეზობლები საშობაო მოთხრობა (რუსულიდან) **ტასოსი** 649

მიიღება ხელის მოწერა 1911 წ.

ამ **1911** წ. სელის მომწერლებს დაურიგდებათ საჩუქრათ ორი წიგნი.

1) **ღვთის წყალობა** დასურათებული მოთხრობა გიორგი წერეთლისა.

2) **საყმაწვილო ამბების კრებული** სურათებით.

ჯეჯილის სელის მომწერლებს საახალწლოთ დაურიგდებათ საჩუქრად

უცხო თაიგული

დასურათებული საყმაწვილო წიგნი შედგენილი პეტრე მირიანაშვილის მიერ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

საყმაწვილო ნახატებიანი ყურნალი

იზარდე მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო!..
ი. დ.

153.

დეკემბერი 1910

✦ წელიწადი მეოცდაერთე ✦

თ ბ ი ლ ი ს ი
ელექტრომბეჭდავი ამხ. „შრომა“, მეჯრანის ქ. № 12.
1910

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შობა დილით.

ჩემო ბაწაწა გვრიტებო,
ადსდეგით, აიშალენით,
აასმიანეთ სასლ-კარი
თქვენ მოჭიკჭიკე ტკბილ ენით
  რა სანი არის მნათობმა
აშალა თვისი ალამი
და ნისლ განწოლილ ქვეყანას
მიუძღვნა თვისი სალამი.
  ლსინი აქვთ შეუწყვეტელი
ცაში ანგელოსთ კრებასა,
ქებათა-ქებას სწირავენ
ჩაგრულთა სასოებასა.
  გალობენ: დღეს დაიბადა
იესო მოციქულიო
და განამტკიცა ქვეყნათა
სიმართლე-სიყვარულიო.
  სალსნო, ისარეთ ტკბილ წუთით
ააფსალმუნეთ ხმებიო
ჩამოჰკართ ზარებს ტაძრისას,
აბრწყინეთ კელაპტრებიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშ აიშალეთ, აღსდეგით
კატო, თამარო და დათა,
ახალი ტანსაცმელითა
მოიკაზმენით კოსტათა.
ეკლესიისკენ გავსწიოთ,
შეგვხვდება ბევრი ობოლი,
ნუგეში მივსცეთ, შეუშრეთ
თვალებზე ცრემლი ობოლი.
ამ გვარ სიტყვებით მშობელი
პირმშო შვილთ ეგებებოდა
და ვარდის-ფერად გადაშლილს
ტუჩებზე ეკონებოდა.

დ. თურდოსპირელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წმიდა ღამე.

დეგენდი

(სელმა ლაგერლეფისა)

ერთხელ, ბნელ ღამეში, ერთი კაცი ეძებდა ცეცხლს. ქოხიდან ქოხში გადადიოდა, ყველას კარებს ურაკუნებდა და ამბობდა: „მეგობარო, მომეხმარე, ეს არი ახლა ჩემი ცოლი მოლოგინდა, ცეცხლი მესაჭიროება, რომ გავათბო ბავშვიც და დედაცა.

მაგრამ ღამე ბნელი იყო, ყველას ეძინა. არსაიდან პასუხს არ იძლეოდენ, კაცი შეუჩერებლივ მიდიოდა. ბოლოს, შორს, ღამის წყვდიადში, დაინახა რაღაც სინათლე. მიუახლოვდა და ნახა, რომ მინდორში ცეცხლია დანთებული. თეთრი ცხვრები მოსწოლიან ამ ცეცხლს. მოხუცი მწყემსი დგას

და დარაჯობს ამ თავის ფარას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცი, რომელიც დაემებდა ცეცხლს მიუახლოვდა ცხვრებს და დაინახა, რომ მოხუცი მწყემსის ფეხთა სძინავთ სამ დიდ ძაღლს. ძაღლებს გამოელვიძათ, დაადგეს თავისი ვეებერთელა ჰირები, თითქოს ჰეეფდენ, მაგრამ ეეფის ხმა კი არ ისმოდა. კაცი ხედავდა როგორ ძაღლებს ზურგზედ ბალანი აებურძგნათ, ხედავდა, როგორ თეთრად ელვარებდენ მათი კბილები, როგორ ეცენ დასაკბენათ მას. ის გრძნობდა კიდეც, როგორ ერთმა ძაღლმა უკბინა მას ფეხში, მეორემ ხელზე, მესამე ეცა ყელში. მაგრამ მათი კბილები ტკივილს არ აგრძნობინებდენ. კაცმა მოინდომა მიახლოვებოდა თავის მიზანს. ცხვრები კი იწვნენ ერთმანეთთან ისე ახლო, რომ კაცს გავლა ვერ შეეძლო. ეს რომ დაინახა კაცმა, მათ ზურგზე გადაიარა და ისე მიუახლოვდა ცეცხლს. არც ერთი ცხვარი არ განძრეულა, არც ერთს არ გაღვიძებია. როდესაც კაცი მიუახლოვდა ცეცხლს, მეცხვარემ მაშინ დაინახა. მეცხვარე ავი კაცი იყო, ყველას გაურბოდა, არ უყვარდა სხვა ადამიანი. ცეცხლთან რომ დაინახა უცხო კაცი, ხელი დაავლო თავის გრძელ ჩობახს და ესროლა. ჩობახი რო უახლოვდებოდა უცხოს, უცებ გაბრუნდა სხვა მხარეს და დაეცა შორს.

მაშინ უცხო მიუბრუნდა მოხუცს და უთხრა: „მეგობარო, მიშველე, მომეცი ცეცხლი. ჩემი ცოლი მოლოგინდა, ცეცხლი მესაჭიროება, მინდა გავათბო ისინი.

მწყემს უარი უნდოდა ეთქვა, მაგრამ წარმოი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგინა, როგორ ძაღლებმა ვერ ავნეს ამ კაცს, რომ-
გორ ცხვრები არ გაინძრენ მის ფეხ ქვეშ, როგორ
მისი ჩობახი ასცდა ამ კაცს—შეეშინდა და უარის თქმა
ვერ გაბედა.

„წაიღე რამდენიც გინდა“ უთხრა მოხუცმა
მწყემსმა.

ცეცხლი საკმაოდ გაღუებული იყო, ორიოდე ხის
ტოტი შიგ დარჩენილიყო და ალი არ ადიოდა მაღ-
ლა. კაცს არაფერი არა ჰქონდა ცეცხლის ასაღებათ:
არც მაშა, არც რამე ნატეხი, რომ ნაკვერცხალი აეღო.
ეს რომ დაინახა მწყემსმა—კიდევ უთხრა: „წაიღე,
რამდენიც გსურს.“ მას უხარიდა, რომ უცხო კაცი
ცეცხლს ვერ წაიღებდა.

კაცმა დაიღუნა, ხელებით გამოსჩიჩქნა ცეცხლი
და ნაკვერცხლები ჩაიწყო კალთაში. მერმე? ცეცხლმა,
როდესაც იღებდა, ხელები არ დაუწვა, არც კალთას
რამე დაუშავდა. ეს რომ დაინახა ბოროტმა და უგუ-
ლო ადამიანმა, გაკვირვებით გაიფიქრა: „ეს რა ღა-
მეა, რომ არც ძაღლები იკბინებიან, არც ცხვრები
ინძრევიან, ჩობახი არ ეკარება, ცეცხლი არა სწვავს?

მან დაუძახა და ჰკითხა უცხო კაცს, „ეს რა ღამეა?
რისაგან მოხდა, რომ... ეველაფერს ეტყობა ლმობიე-
რება და სიბრალული?

მაშინ კაცმა უპასუხა:

„მე ვერაფერს ვერ გეტყვი, რადგანაც შენ ვერა-
ფერს ვერ ხედავ!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას ეშურებოდა, რომ მალე დაენთო ცეცხლი და გაეთბო თავისი ცოლ-შვილი.

მწყემსმა დაანახა მას გაჭეოლოდა, რომ გაეგო რა ამბავია. მართლაც მიჰყვა მას სახლამდე. აქ მან დაინახა, რომ ამ კაცს სახლიც არა ჰქონია, დედა და შვილი იწვენ კლდეში, ცივ ქვის გამოქვაბულში.

მწყემსმა იფიქრა: ეს საცოდავი, ტიტველი არსება ხომ გაიყინება აქა და, თუმცა გულცივი ადამიანი იყო, მაინც ამ აზრმა შეაწუხა იგი და მან მოინდომა მიხი შველა. მოიხადა ზურგიდან ტომარა, ამოიღო იქიდან თეთრი ცხვრის ტყავი, მისცა უცხო კაცს და უთხრა—ზედ ბავშვი დაეწვინა.

და აი ამ წუთში, როდესაც მწყემსმა სიბრალული იგრძნო, მას აეხილა თვალები და გაიგო ის, რისი გაგებაც მას იქამდის არ შეეძლო. მან დაინახა ირგვლივ ბატარა, ვერცხლის ფრთოსანი ანგელოზები, თვითეულს მათგანს ხელში ეჭირა რაიმე საკრავი და ეველანი მაღალის ხმით გალობდენ ამ ღამეში მაცხოვარის დაბადებას, რომელიც იხსნის ქვეყანას ცოდვათა და წყევლთა-კრულვისაგან.

მიხვდა მწყემსი რას ნიშნავდა ეოველის ვერი, რატომ ხარობდენ ეველანი. ანგელოზები იყვენ ეველგან —გამოქვაბულში, მაღლა მთაზედ, ფრინავდენ ცის სივრცეში. მრავალნი მათგანი მოდიოდენ გზაზე და რომ მიუახლოვდებოდენ გამოქვაბულს, შეჩერდებოდენ, შესცქეროდენ სასოებით ბავშვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი რა სიხარული, რა განცხრომა და შვება, რა გალობა და ლხენა დაინახა მწყემსმა ამ ბნელ ღამეში, რომელშიაც უწინ ვერასფერს ვერ ხედავდა — მწყემსმა ისეთი სიხარული იგრძნო, რომ ჰირქვე დაეცა და მადლობა შესწირა უფალს.

ფ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უცნაური კაცი.

ზღაპარი.

ერთ ბოსტანში მოულოდნელათ გაჩნდა უცნაური კაცი. არავის არ უნახავს მისი იქ შემოსვლა: არც კომბოსტოს რგვალ მწვანე თავებს, რომელნიც მოჩანდენ კვალებიდან, არც სუჯუჯ ქოჩრიან ლამაზ სტაფილოს, არც ცერცვის გაბერილ ტკბილ ბარდას. ერთი სიტყვით ვერავინ იტყოდა, რომ ეს შავი უცნაური კაცი გადმოსტა დაბალი ღობიდან ისე, როგორც ქუჩის ბიჭებმა იციან, თუ არხეინად შემოვიდა ბოსტნის დამტვრეულ კარებიდან.

ის სწორეთ და მაღლა იდგა, ხელები გაეპარჭენა და ქუდი ისე ჩამოფხატული ჰქონდა, რომ სახე არც კი უჩანდა.

— რა გაეწყობა, უნდა მოვითმინოთ მაგის აქ ყოფნა? იდგება აგრე, იდგება და ბოლოს წავა! გადასწყვიტეს ბელურებმა, რომელნიც მახლობელ ბებერ არეის ხეზე იჯდენ და ჭყიპინებდენ.

მაგრამ ეს უცნაური კაცი სულაც არ აპირებდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წასვლას. ბელურებს მობეზრდათ მოცდა და თითო თითო დაეშვენ ცერცვზე.

სწორეთ ახლა მოხდა ისეთი ამბავი, რაც მოსალოდნელი არ იყო: ავარდა დიდი ქარი და უცნაურმა კაცმა უცბათ დაიწყო ხელების ქნევა და გაჯავრებით თავის ქნევა.

— დამეკარგეთ, დამეკარგეთ ახლავე ეგელანი! არ გაბედოთ ჩემი ცერცვის მოპარვა! ეგიროდა ჭრიალის ხმით.—მე ვარ აქ ბატონი!

აბა ბელურებს როგორ არ შეეშინდებოდათ! ისინი ერთ წამს აფრინდენ.

— ძალიან კარგათ მოიქეცით, რომ შეაშინეთ ეგ თავხედები, თორემ მაგათგან ძოსვენება არა მაქვს! სთქვა ცერცვმა და სიამოვნებით შეიბერტყა ბარდა.— ძალიან, ძალიან კარგათ მოიქეცით! ნება მომეცით გკითხოთ: განა მართლა თქვენა ხართ აქ ბატონი?

უცნაურმა კაცმა არც კი ალირსა პასუხი. წინანდელივით იდგა ის უძრავათ და ხელები გაეპარჭეა.

ცერცვს ძალიან ეწყინა.

«განა არ შეიძლებოდა რომ პასუხი გაეცა ჩემთვის», წაიბუტბუტა მან.

მაგრამ უცნაური კაცი ხელახლად მოჰქვა ხელების ქნევას, ერთი მძლავრათ შეინძრა და მოისმა გაბოროტებული ხრინწიანი ხმა:

— დაჩუმდი, არ გაბედო ჩემთან ხმის ამოღება, შე სულელო ცერცვო! თქვენც, ეი, ბოსტნის წვრილ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხობავ, მე არ მოგითმენთ უწესოებას! ეს, დიდ თავა კომბოსტოვ, ცხვირი მაღლა ნუ მიგაქვს. შენც, სტაფილოვ, ნუ იცი ბოლოკთან ჩურჩული! მე თქვენ გაგირიგებთ საქმეს!

— ეს რა ამბავია ჩვენ თავს! აღშფოთებული ბუტბუტებდა ბოსტნეულობა. — ეს ვინ არამკითხე ბატონი გაგვჩენია, საიდან მოვიდა? აქამდის ჩვენ ბატონათ გვეანდა ქალი. ის შემოვიდოდა წითელი კაბით ბოსტანში მხიარული და გაბრწყინებული სახით, გადახედავდა კვალებს, მოგვაშორებდა უბრალო ბალახს, მორწყამდა მთელ ბოსტანს თავისი მძლავრი ხელებით. აი, ის იყო ნამდვილი ჩვენი პატრონი!

ბელურებიც დაღვრემილი იყვენ, არც იმათ დაუდგათ კაი დღე:

— ასე რომ გასტანოს, ცერცვსაც ვერ მივეკარებით!

ცერცვი ჩურჩულებდა თავისთვის:

— სჯობია ბელურების წილი გავხდეთ ასეთ შეგაწროების ატანას.

როცა დაღამდებოდა ხოლმე, ჩვეულებრივ მზის ჩასვლის წინეთ, ბოსტანში კომბოსტო და ცერცვი მოჰყვებოდენ ტკბილათ ბაასს. პატარა ბოლოკები და სტაფილოები ერთმანერთში იცინოდენ და გამოიყურებოდენ კვალებიდან. აქედან მუსიკის ხმაც მოისმოდა: ფრთოსან კრაზანებს და წვერიან კოღოებს თავიანთ საკრავებზე გაჰქონდათ ზეილი, ამ ხმაზე ვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელები და კალიები ცეკვავდენ და ხტუნაობდენ. ეჭ
მოწყენილობას რა უნდოდა! მაგრამ დახეთ უბედურებას,
გაჩნდა საიდანღაც ვიღაც უცხო, უცნაური შავი კაცი,
რომელიც ეკირის, ემუქრება ყველას და ბრძანებლობს.
შეიძლება კვალებშიაც მოჰყვეს სიარულს და მაშინ ვინ
იცის რა უბედურება დატრიალდეს!?

ახლა ბოსტანში სიჩუმე ჩამოვარდა, თითქოს უბე-
დურება რამე უნდა თავს დაატყდესთ: აღარავინ ჩურჩუ-
ლებდა, აღარავინ იცინოდა. ყველა შიშით შესცქეროდა
ამ დაუპატიჟებელ სტუმარს, რომელიც ბოსტნის
პატრონობას ჩემობდა. ამ გრძელი შავი კაცის გრძე-
ლი შავი ჩრდილი მზის ჩასვლისას უფრო გრძელ-
დება, ეფინება მთელ ბოსტანს და უიმისოთაც დაში-
ნებულ ბოსტნეულობას შიშის ზარს ჰგვრის

მოუსვენარ დღეს მოჰყვა საშინელი მოუსვენარი
ღამე, მძლავრი ქარი ჰქროდა, უცნაურ კაცს არ დეს-
ძინებია, ხელებს აფართხუნებდა, მუქარით თავს იქნევ-
და და გეგონებოდათ ეს არი წამოვარდებოდა და
გაიქცეოდა. შიშით თვალი არავის დაუხუჭავს. დილით
ქარი ჩავარდა და მოუსვენარმა, დაუპატიჟებელ სტუ-
მარმაც თითქოს ჩაიძინა. მაგრამ ძილშიაც არ ისვე-
ნებდა: ხელებს აფართხალებდა, რაღაცას ბუტბუტებ-
და, იღრინებოდა.

— რაც უნდა დამემართოს მე მაინც დავიძინებ
ცოტას, გადასწყვიტა კომბოსტომ და გაეხვია თავის
უთვალავ ფოთლებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე ბოლოკებმაც და სტაფილოებმაც დაიძინეს. მარტო ცერცვი გმირულათ ებრძოდა ძილს, მაგრამ ბოლოს იმასაც ძილი მოერია.

ღილით რომ გამოეღვიძათ—არაფერი სასიამოვნო რამე არა ნახეს: ეგონათ რომ უცნაური შავი კაცი აღარ დაუსვდებოდათ, მაგრამ ის მაინც იმავე ადგილას იდგა და ისეთივე გრძელ ჩრდილს ჭფენდა გარშემო.

ღილა მერე რა მშვენიერი და ნათელი იდგა! მაგრამ რა გამოვიდა. ესენი ვერ ისარგებლებდენ ვერც მზის სითბოთი, ვერც ლაჟვარდოვანი ცით, წინ უდგათ შავი უცნაური კაცი, ბოროტი, საძიში, რომელიც ყველას უმწარებდა დღეს.

უფრო მეტად გაჯავრებულნი იყვენ ბელურები. ისინი ვერ ბედავდენ ცერცვთან მიახლოვებას, მერე როგორ უნდოდათ ჰირის ჩატკბუნება!

სწორეთ ამ ღილას ბოსტანში გაჩნდა კიდევ ერთი ასალი არსება. ეს არსება ღობიდან არ იქნებოდა გადმომძვრალი, რადგან მას ჭქონდა ისეთი ჰაწაწა მსუქანი ფესები, რომ ძლივს აბიჯებდა, თუმცა მას მყვლოდა კიდევ ორი ჰატარაკვე ხელები, ჰერანგის ამარა უმაწვილი ძლივს მოფოფხავდა, მაგრამ მხიარულ გუნებაზე იყო: მას წითელი ლოყები სიცილით ებერებოდა და ლურჯი თვალები ულიმოდა. რა კარგი არსება იყო! სტაფილოც კი არ დაემდურებოდა, უმაწვილს რომ მოეგლიჯა კვალიდან ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქოჩორა თავი და მოღიმარ პირში გადაეულაპა. სოფლი ამ უცნაურმა შავმა კაცმა მოურიდებლათ, გაჯავრებით მოუქნია თავისი ხელები!..

უცბათ გაისმა საშინელი ტირილი მთელ ბოსტანში. ვინ მოიფიქრებდა, რომ ამისთანა პაწაწას ასეთი დიდი ხმა ექნებოდა. ამაზე შავი კაცი უფრო განრისხდა.

— დამეკარგე, დამეკარგე აქედან, მე ლაწირაკო! მე შენ გაგირიგებ საქმეს! ერთი საშინლათ დაიწრიპინა შავმა კაცმა და მთლათ შეინძრა. პატარა საბრალო არსება მაინც არ გაიქცა, გაწვა ბალახზე და უფრო ხმა-მაღლა მოჰყვა ტირილს. ამ ტირილს უცბათ ხმა მისცა, თითქოს გასამხნევებლათ, ერთმა დიდმა რუხმა ძაღლმა, რომელიც სახქაროთ შემოვარდა ბოსტანში. ძაღლმა მაშინვე მონახა ემაწვილი, დაათვალიერა არაფერ განსაცდელში ხომ არ არიო, აულოკა სახე და წამოიყეფა:

— არაფერია, არაფერია... ნუ ტირი! რა გიშავს, მე ხომ შენთანა ვარ! რა დაგემართა!..

პატარამ მაშინვე შესწყვიტა ტირილი და თავისი პატარა თათი გაიშვირა უცნაურ შავ კაცისაკენ.

— ბუა!.. ბუ!.. ლულლულებდა ემაწვილი...

— აამ... ამას გაუჯავრებისარ! და დაღრენილი კბილებით რუხამ მიიხედა უცნაურ შავ კაცისაკენ

— შენ ეი, საიდან გაჩნდი? დაუყვირა ძაღლმა.

ეტყობოდა უცნაურ კაცს სულაც არ შეეშინდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დამეკარგე, შე სულელო ძაღლო! მე გვარიანი ბატონი!

— მე შენ გიჩვენებ როგორი ბატონიც ბრძანდები?

გაჯავრებით დაჭეფა ძაღლმა და მივარდა უცნაურ კაცს.

ატეხა საშინელი ბრძოლა. უცნაური კაცი ძალით ხელებს ჰარჭეავდა, ყრიჰინებდა, ქანაობდა, მაგრამ ძაღლი სწვდა კბილებით მის სახელოებს და თავს არ ანებებდა. ფხრაწ!.. რაღაც გაიხა და ტანისამოსის ნაფლეთები დავარდა ძირს, ქუდიც ჩამოვარდა და უცნაური კაცის მაგივრად გამოჩნდა გრძელი, გვერდზე გადახრილი ჰალო, რომლის წვერზე ჩამორჭობილი იყო უძირო ქოთანი.

— აი, ესეც თქვენი ბატონი! დინჯათ შენიშნა რუხამ და ერთი კიდევ ალერსით აულოკა სახე გამხიარულებულ ბაკშს.

ერთბაშათ ყველა გამხიარულდა.. არეის ხეზე მსხდომნი ბელურები მხიარულათ ჭრუტუნებდენ.

— დახეთ, ბატონს!.. ეოჩალ ჩვენო რუხავ'..

გაქრა შიში, აღარც კომბოსტოს ეშინოდა და აღარც ცერცვს, სტაფილოს და ბოლოკს... მზეც თითქოს ახლა უფრო მხიარულათ გამოიყურებოდა, შავი კაცის ჩრდილი აღარსად იყო. საღამომდის ყველას დაავიწყდა უცნაური არსება, ხოლო ჰალო ქოთან ჩამოცობილი მოჩანდა და კვალში ეგდო გაჭულეტილი ქუდი.

(თარგმანი). ტახო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პატარა სპილო.

რედიარდ კიპლინგისა

ველ დროში სპილოს არ ჰქონდა ხორთუმი. მას ჰქონდა მარტო შავი, ჩექმის მსგავსი, მიჭყლეტილი ცხვირი, რომელსაც აქეთ-იქით აუანუალებდა. ამ ცხვირით ვერასფერს ვერ ასწევდა. იმ დროს სცხოვრობდა ერთი პატარა სპილო. ეს სპილო ძლიერ ცნობის მოყვარე იყო და ყველაფერი უნდა გამოეძია, ყველაფერი უნდა შეეტყო. მისი საცხოვრებელი ადგილი იყო აფრიკა, მაგრამ მთელი აფრიკა ვერ აკმაყოფილებდა მის ცნობის მოყვარეობას. თავის ბიძიას სირაქლემას ჰკითხავდა, რატომ კუდზე ბურტყელი გაქვსო და ის გრძელ ფეხა ბიძაც სცემდა ძას თავისი მაგარი და მძიმე თათით. მერე მიადგებოდა მეორე ბიძას ყირაფს და ეკითხებოდა ძას, რათა გაქვს ჭრელი ტყავით, და ბიძა-ყირაფიც მოუყვებოდა ცემას თავისი მაგარი ჩლიქით. მაგრამ მაინც პატარა სპილომ ვერ მოიშალა გამოკითხვა. ის ეკითხებოდა თავის სხვილ ბიძიას — ჰიპოპოტამს, რათა გაქვს თვალები წითელია, სხვილი ბიძიაც ერთი კარგათ გალახავდა ხოლმე. არც ბანჯღვლიან დეიდას — მაიმუნს დასტოვებდა, რომ არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოეკითხნა რაში, ესეც უპასუხებდა თავის-თავს-ბანჯგვლიანი თათით. მაგრამ ვერაფერი ვერ აკმაყოფილებდა პატარა სპილოს. ის ყველას, ყოველისფერს ეკითხებოდა, რასაც ხედავდა, რაც ესმოდა, ან გრძნობდა, რასაც ენოსავდა, ან თათებით ეხებოდა. და ყველანი: ბიძები, დეიდები მას სცემდენ.

ერთ მშვენიერ განთიადისას, დღე და ღამის გასწორებისას, მან იკითხა ისეთი რამე, რაც ჯერ არავის არ ეკითხნა.

— „რასა სჯამს გველეშაპი სადილათო!“

ყველას შეეშინდა, ჩაჩუმეს და ერთი კარგადაც, დადასტურეს. როდესაც პატარა სპილო გონს მოვიდა — დაინახა პაწაწა ფრინველი ჭინქრაქა და უთხრა: თუმცა ბევრი მირტყეს ამისათვის, მაგრამ მაინც ვერ გავიგე: — რასა სჯამს გველეშაპი სადილათო.

ფრინველმა გულ-ამოსკვნით მიუგო: წადი მდინარე ლიმპოპოს ნაპირებზე, იქ ხეები დგას, სადაც ბუდობს ციება და ყველაფერს გაიგებ

მეორე დღეს პატარა სპილომ აიღო ორ ფუთიანი ბანანა, სამი ფუთი შაქრის ლერწამი, ჩვიდეტი ნესვი და გამოეთხოვა თავის საყვარელ ნათესაებს: მშვიდობით, მივდივარ მდინარე ლიმპოპოს ლამაზ ნაპირებთან, სადაც ბუდობს ციება, მინდა გავიგო, რასა სჯამს გველეშაპი სადილათ. ნათესავებმა ხელ ახლად ბიბეგვეს პატარა სპილო, თუმცა ეს უკანასკნელი ეხვეწებოდა, წასვლის წინეთ პატივი მეცით თავი დაძანებეთო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა სპილო გაუდგა გზას ცოტა არ იეოს გაოფლიანებული, მაგრამ რა ექნა ეს მას არ აკვირვებდა. ის გზა და გზა სჯამდა ნესვებს, ქერქები მიწაზე სცვიოდა. აკრეფით კი ვერ აჭკრეფდა.

დიდ სახს იარა ჩვენმა ცნობის მოყვარე პატარა სპილომ. გზაში სულ ნესვებს მიირთმევდა. ბოლოს მოვიდა ლიმპოპოს ლამიან ნაპირთან.

ეს კი უნდა იცოდეთ, რომ ჩვენ სპილოს ჯერ არ ენახა გველეშაპი, არც იცოდა როგორია. წარმოიდგინეთ მისი ცნობის მოყვარეობა სადამდის მივიდოდა.

პირველად ოოვლისა დაინახა მან დიდი გველიპიტონი, რომელიც კლდეს შემოხვეოდა.

— „უკაცრავად, მიუბრუნდა სპილო ზრდილობიანად,—ხომ არ გინახავთ ამ დაშვალ ციებიან ადგილს გველეშაპი?

— „მინახავს თუ არა? იკითხა გველმა სიბრაზით. მერე რა გნებავთ?

— უკაცრავად, მიუგო სპილომ,—ეგებ თქვენ იცოდეთ, რასა სჯამს იგი სადილათ.

გველი სისწრაფით გაემართა მისკენ და მძლავრათ შემოჭკრა სპილოს თავისი რგოლებიანი და ქერტლიანი კუდი.

— რა საოცრებაა, სთქვა სპილომ,—დედ-მამაც, ბიძებიც და დეიდებიც ეველა მცემდენ ამ ჩემ ცნობის მოყვარეობისათვის. აქაც, როგორც ვხედავ, ხეირი არ დამეერება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სჰილო გაძოემშვიდობა გველს, მოესმარა კიდეც იმას, რომ შემოხვევოდა ერთ დიდ ხეს და გასწია. ის ცოტა არ იყოს გაოცებული იყო, თუმცა გზა გზა ნესვს მიირთმევდა, ქერქები კი მიწაზე სცვიოდა, მაგრამ ალება კი არ შეეძლო; ჰატარა სჰილომ იარა, იარა და ბოლოს წააწყდა რაღაც კუნძს, რომელიც თითქოს ჩაფლული იყო ლიმჰოჰოს ლაძიან ნაჰირზე.

ეს კუნძი სწორეთ გველეშაჰი იყო. ამან ერთი სხვანაირად გადახედა სჰილოს.

— ძიბრძანეთ ერთი, მიუბრუნდა მას ჩვენი ჰატარა სჰილო,— ხომ არ გინახავთ ამ დაძჰალ ციებიან ადგილს გველეშაჰი.

მაშინ გველეშაჰმა ამოაძრო ლამიდან თავისი კუდი, სჰილომ უკან გაიწია—სრულებითაც არ უნდოდა რომ ვისმეს ხელ ახლად გაეტეჰა.

— მომიახლოვდი, ჰაწიავ, რათ მეკითხები მაგას?

— მეშინია, ვერ მოგიახლოვდები, გალახვას ხომ არ მიჰირებთ—მე ხომ სუეველა მცემს.

— მომიახლოვდი, ჰაწიავ, მე ვარ თვითონ გველეშაჰი, გველეშაჰმა თავისებურათ ცრემლებიც კი გადმოღვარა, რომ უფრო ეჩვენებინა თავისი საძართლიანობა.

სჰილო კირაღამ დაიღრჩო სიხარულით. ის დაეცა მის წინ მუხლებზე და დაიძახა:

— თქვენ ის ბრძანდებით, ვისაც ამოდენი ხანი დავეძებ. მიბრძანეთ, რას მიირთმევთ საღილათ ხოლმე.

— მომიახლოვდი, ეურში გეტეეი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპილომ მიადო თავი მის საშინელ ბირს, გველეშაბმა წაავლო კბილები ცხვირში, რომელიც მხოლოდ ჩექმის ოდენა იყო, მაგრამ მისთვის ძალიან საშარგებლო.

— მე ასე ვფიქრობ, რომ დღეს შენით ვისადილო, წაილუღლუღა გველეშაბმა.

ჩვენი პატარა სპილო ძლიერ გაჯავრდა: „გამიშვით, მტკივა!“ დაიძახა მან.

ამ დროს ჩამოხოხდა ხიდან გველი და უთხრა: —ჩემო ყმაწვილო მეგობარო, თუ ახლავე არ მოაშორებ მაგ ცხვირს და არ გაიწევი რაც ძალი და ღონე გაქვს, ჩემის აზრით მაგასთან ნაცნობობა სიკეთეს არ დაგაყრის, შენ ეგ ჩაგითრევს მდინარეში ისე, რომ თვალის დახამხამებასაც ვერ მოასწრებ.

მაშინ სპილო დაჯდა უკანა ფეხებზე და დაუწყო თავს უკან წევა. იწია, იწია—ცხვირიც თანდათან იზრდებოდა, გრძელდებოდა. გველეშაბი წყალში ჩავიდა და იქიდან თავისკენ სწევდა ცხვირს. ცხვირი სულ იზრდებოდა, გრძელდებოდა. სპილოს ცხვირი მწარედ სტკიოდა, უცებ სპილომ იგრძნო, რომ ფეხებს ვეღარ იძაგრებს და სთქვა ცხვირში, რომელიც ეხლა ორ არშინის სიგრძისა იყო.

— ეს კი ნამეტანია ჩემთვის.

ამ დროს გველი ხელ-ახლად ჩამოვრა ხიდან, მოეხვია სპილოს უკანა ფეხებზე და უთხრა:—გამოუცდელო და სწრაფო მგზავრო, უნდა რაც ღონე გაქვს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძოიკრიფო, თორემ ეგ ჰირუტუვი, ცუდ რასმეს დგ-
მართავს შენ და ბედ-იღბალს წაგიხდენს“.

ახლა გველი ეხმარებოდა სჰილოს, სჰილოც რაც
შეეძლო ცდილობდა—ბოლოს ორივემ აჯობეს გვე-
ლეშაჰს, გველეშაჰმაც ცხვირი გაუშვა. ცხვირმა ტლა-
შანი გაადინა მდინარეში.

ჰატარა სჰილომ თავი ვერ შეიმაგრა და გაიშო-
ტა მიწაზე, მაგრამ მადლობის თქმა მაინც მოასწრო.
შერმე ცხვირი გაახვია ბანანას სველ ფოთლებში,
ჩაუშვა ლამიან, მწვანე წყალში რომ გაეგრილებინა.

— რას შვრები მაგას, ჰკითხა გველმა.

— რასა და მინდა დაეიმოკლო ჩემი ცხვირი, მე-
შინია არ დავრჩე ასე დამახინჯებული.

— დიდ ხანს კი მოგიხდება მუშაობა, უპასუხა
გველმა,—ძნელი სათქმელია ვისთვის რა უფროა სა-
სარგებლო.

სჰილო იჯდა სამი დღე და ღამე და უცდიდა აი
ახლა დამიმოკლდება ცხვირიო, — მაგრამ ამაოდ, ცხვი-
რი არ მოკლდებოდა და დასე უბედურებას. თვალებ-
მაც ელმად ეურება დაიწყეს.

ახლა ეგელანი მიხვდებით რომ სჰილოს ნამდვი-
ლი ხორთუმი გაუჩნდა ისეთი, როგორიც ულანდელ
სჰილოებს აქვთ.

მესამე დღეს, მოფრინდა ბუზი და უკბინა სჰილოს
მხარზე. სჰილოს ბევრი მოფიქრებაც არ დასჭირდა,
ასწია ხორთუმი და მისი ბოლოთი მოჰკლა ბუზი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აი პირველი სარგებლობა გრძელი ცხვირისა — უთხრა გველმა.

— შენი უწინდელი ღილით, რომელსაც ცხვირს ეძახდი, აბა მაგას როგორ მოახერხებდი.

აქ სპილომ გასწია ხორთუმი, მოგლიჯა კონა ბალახი, დაბერტყა, მიწა მოაშორა და ისე ჩაიდო პირში.

— ესეც მეორე სარგებლობა,— კიდევ უთხრა გველმა— უწინდელი ერთი ბეწო ცხვირით განა მაგას მოახერხებდი. ახლა ვერა გრძნობ, მეგობარო, რომ მზე ძლიერ გვაჯერს?

— როგორ არა, მიუგო სპილომ, და ერთ თვალის დახამხამებაზე აიღო ხორთუმით ლამი მდინარიდან, გააკეთა ამ ლამისაგან ქუდი და მიიფარა პურებს უკან.

— აი კიდევ სარგებლობა, უწინდელი პაწია ცხვირით მაგას ვერ მოახერხებდი. ერთი მითხარ რას ფიქრობ, სახლში რომ გაგლახონ, რასა იქ?

— სწორე გითხრა, გალახვა სრულებითაც არ მესიამოვნება.

— შენ თვითონ არ გიფიქრნია ვისმეს გალახვა? სწორე გითხრა შენი ცხვირით ახლა ადვილი იქნება!

— მადლობას მოგახსენებ, სთქვა სპილომ,— მაგას კარგათ დავინახავ. დრო ა წავიდე ჩემს საყვარელ ნათესავებთან და გადაუსადო სამაგიერო.

პატარა სპილომ გაიარა მთელი აფრიკა ხორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუმის ქნევით. როდესაც მოშივდებოდა, ასწევდა ფეზედ ხორთუმს და მოსწევეტდა ხილს. უწინ კი ეს არ შეეძლო, უნდა ეცადნა, სანამ ხილი თვითონ არ ჩამოცვივდებოდა. როდესაც ბალახი უნდოდა, ჰირდაჰირ გლეჯდა. უწინ კი უნდა დაჩოქილიყო და ისე მოეგლიჯა. ბუზი უკბენდა, ხის ტოტს მოგლეჯდა და ისე მოიგერებდა. თუ მზე ძალზედ სწვავდა, გაიკეთებდა ლამიდან ქუდს და თავზე დაასურავდა. თუ სიარული მოსწყინდებოდა, სიმღერას მოჰყვებოდა და მისი ხმა ისმოდა როგორც საყვირის ხმა.

ბინაზე დაბრუნების დროს განგებ აუხვია გზას, მონახა ჭიპოპოტამი, თუმცა ის ნათესავიც არ იყო, ხორთუმით ერთი კარგად გალახა. უნდოდა ხორთუმის ძალა გამოეცადნა.

ერთ მშვენიერ საღამოს დაბრუნდა სახლში, მიმალა თავისი ხორთუმი და გამოეხმაურა ნათესავებს:

— როგორ ბრძანდებით?

მათ ძალიან გაესარდათ მისი ნახვა და უთხრეს:

— მოდი ერთი კარგათ გაგტეეპოთ, რომ არ იმლი შენს ცნობის მოყვარეობას და დახეტიალობ.

— თქვენ მგონია არ იცით გალახვა. მე გაჩვენებთ როგორც უნდა გალახვა!

თქვა ესა და გაშალა ხორთუმი და გადააკოტრიალა თავისი ორი ძმა.

— ეს რა გისწავლია,—დაიუვირეს მათ,—ეს რა დამართნია შენ ცხვირს?

— მე ახალი ცხვირი გამოძება, რომელიც გველეშაპმა მაჩუქა. მე ვკითხე: რასა სჭამ ხოლმე საღილათ მეთქი, და მან ეს ცხვირი მაჩუქა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დიდი ულამაზო რამ არის, ეგ შენი ცხვირი, — უთხრა ბანჯღვლიანმა ბიძიამ—პავიანმა.

— იქნება აგრეც იყოს, მაგრამ დიდი სასარგებლოა ჩემთვის ეს ცხვირი. სპილომ სტაცა ხორთუმი ბანჯღვლიან ფეხში და ჩააგდო ბზიკების ბუდეში.

მერმე მიჰყო ხელი თავის მეზობლების გალასვას. ძლიერ დაბეგვა ისინი. ბიძია სირაქლემას სულ კუდიდან ფრთები დააძრო, ყველას სამაგიერო გადაუხადა. მხოლოდ ფრინველ ჭინჭრაქას ხელის ხლების ნებას არავის არ აძლევდა.

პატარა სპილოს მახლობელი ნათესაობა ძლიერ აღელვდა და ძათ გადაწყვიტეს წასულიყვენ ერთად ლიძვოპოს ნაპირებზე გველემაპთან და გამოეთხოვათ თავიანთვისაც გრძელი ცხვირები.

როდესაც სპილოები დაბრუნდენ, აღარ ჩხუბობდენ და ამ დღიდან ყველა სპილოებს გაუჩნდათ გრძელი ცხვირები—ხორთუმები, როგორც ჩვენ ცნობის მოყვარე პატარა სპილოს.

(თარგმანი)

ბ. ფ.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვატარა გლეხის სიმღერა.

—

ლეხის ბიჭი ვარ ვატარა,
ტანზე მაცვია ძველები,
ღორ-ხბოში დავალ ოთველ-დღე,
დასერილი მაქვს ფეხები.

—

მამაც მუშაობს ერთ-თავად:
ხან ვენახს ბარავს, ხან ბაღსა,
რაც კი მოგვი ხხვებ მი აქვ.
არ შეგვარჩენენ მარცვალსა.

—

დედაცა შრომობს დღე და ღამ,
არ შეასვენებს ხელებსა,
ხან წინდებსა ქსოვს, ხან ართავს,
ხან კი აკერებს ძველებსა.

—

ძიწური ქოხი გვიდგია,
ვერ დავდგით სახლი ძჭდეული,
ვერ იქნა, ვერ მოვიშორეთ
ეს ხიღარობე წყეული.

—

სუეველა ჩვენზე ბატონობს:
მამასახლისი, ჩაფარი,
ვინ დაგვიწერა ეს ასე,
ოთველთვის ესე რათ არი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესლა კი მიეხვდი ყველაფერს,
თუ რათ სჩაგრავენ მამასა.
უსწავლელს ყველა იბრიყვებს,
სმას ვერა სცემენ ნასწავლსა.

—

ესლა მე მოვიწადინე,
მინდა ვისწავლო ან-ბანი,
იქნება მამას უშველო
და გავახარო სახლ-კარი.

—

მოვდლის შვილი გენო დამბირდა
დაბეჭდილ დედა-ენასა,
ხაფხულში მოვა სოფელში,
მასწავლის წერა-კითხვასა.

პ. დვანელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოტანტალე მემუსიკენი შობა ღამეს.

(მოთხრ. ტომ გალლონისა).

ნდა გითხრათ, რომ არასოდეს არ ეოფილა ამისთანა შობა. მთელი არე მარე თეთრათ გადალესილიეო; ღრმა თოვლიდან თავები აძოეეოთ სოფლებსა და ქალაქებს, თითქოს ემუდარებოდნენ, რომ სვეტაკ თოვლს სრულიათ არ ჩაეფლათ ისინი; ირგვლივ საამრისებური სიჩუმე მეფობდა; სალხი ჩუმათ ძიდი-მოდიოდა, თითქოს ცდილობდა, რომ ეს მუდრიება არ დაერღვიჰ; ისინი კი, რომელნიც სახლში თბილათ მოჯუჯგულიეკნენ, ევედრებოდნენ ღმერთს, რომ მოწყალება მოელო ეკელა უბედურზედ და უსახლკარო ღარიბ-ღატაკზედ. თოვლი კი გამუდმებული ბარდნიდა, თითქოს არც კი ფიქრობდა როდისმე გადაღებას და თეთრ სუდარაში ახვევდა ბუნებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰედლი კროსსის სავაჭრო მოედნის კუთხეში გრძელათ ჩამწკრივებული სახლები თავდებოდნენ მაღალი ალაუაფის (ჭიშკარის) კარებით, აგურის სვეტებით; ამ სვეტებს ამშვენებდნენ დიდრონი თლილი ქვის ბურთები; ალაუაფის კარების უკან გადაჭიმულიუო ფართო ეზო, სადაც ამართულიუო უზარ-მაზარი შენობა; ეს იუო სკოლა. კარგა ხანია, რაც ამ სკოლის ბავშვები უკვე სხვა და სხვა მხარეს გაფრინდნენ, რომ თავიანთ წკრიალა ხმით მშობლების სახლი გაემხიარულებინათ მაგრამ ეველა არ წასულიუო. სწორეთ ამ შობა ღამეს, როდესაც თოვლი გამალებული ბარდნიდა და ჰედლი კროსსის მცხოვრებნი სიამოვნებით თბებოდნენ ბუხრებთან, ერთი ჰაწია ბიჭუნა ობლათ მიმჯდარიუო საკლასო ოთახის ფანჯარასთან და დალონებული გასცქეროდა მიუოუებულ არე-მარეს.

ჩარლ ბრეიდონს სულ სხვა დღეხასწაულები ახსოვდა, სწორეთ ისეთი როგორიც შობა უნდა ეოფილიუო; მაგრამ მისი ახალგაზრდა დედა ამ რამდენიმე თვის წინათ წუთი სოფელს გამოესალმა და უზომო მწუხარე მამა სამზღვარ-გარეთ გაეშურა, რომ დროებით მაინც თვალი მოეშორებინა ნაცნობ ადგილებისთვის; და აი სწორეთ ამიტომ დარჩა საბრალო ჩარლი სკოლაში; ეს კიდევ არაფერი, რომ ხმის გამცემი მაინც ეოფილიუო ვინმე; მაგრამ ეველანი წავიდ-წამოვიდნენ და დარჩა სრულიად მარტო. საბრალო ბავშვი ცდილობდა ტირილისაგან თავი შეეკავებინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეველაზე შემდე წავიდა მისს კრონჰერი, ამ სკოლის ზედამხედველი; ის ნაცნობებმა გაიპატიჟეს. წასვლის დროს დარიგება მისცა მოსამსახურეებს და ჰატარა ჩარლი მათ ჩააბარა. ის უნდა მეორე დღესვე დაბრუნებულიეო და რადგანაც ეველამ იცოდა, რომ მისს კრონჰერი თავის ნათქვამს არ გადაუხვევდა, ამიტომაც დარწმუნებული იეენენ, რომ იგი დანიშნულ დროს სკოლაში გაჩნდებოდა; მაგრამ აი მოვიდა დიდი თოვლი, გზები შეიკრა და მისს კრონჰერის დაბრუნება შეუძლებელი გახდა. ამითი ისარგებლეს მოსამსახურეებმა და ეველანი აქეთ-იქით გაიფანტნენ. ჩარლი ჩედავდა ფანჯრიდან როგორი სიცილით და ქრიამულით გაიარეს მათ ეზო და გაუდგნენ გზას... ოჰ, როგორ უნდოდა მასაც მათთან წასვლა!.. ჩარლი ჩამოჯდა იქვე ბუხრის წინ; მან თავისი თავი ძლიერ უბედურათ და უნუგეშოთ იგრძნო

ერთბაშათ ამ საძარცებურ სიჩუმეში მას მოესმა ფეხის ხმა; ჩარლი წამოხტა და სმენათ გადაიქცა. ფრთხილი ნაბიჯით კიბეზედ ვიღაც ამოდიოდა; ჩარლს შიშისგან თმები ეალეზედ შეუდგა; მას უნდოდა სადმე დამალულიეო, მაგრამ ამ დროს ფეხის ხმა შესწყდა და კარები ვიღაცამ წუნარათ შემოაღო. ჩარლი, რომელსაც თავისი თავი სრულიათ მარტოთ-მარტო ეგონა მთელ სკოლაში, შიშის ზარმა აიტანა; ის გრძნობდა, რომ კარს უკან ვიღაც იდგა; მართალია ჩარლს არასოდეს არ გაეგონა, რომ სადმე სკოლაში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქაჯები ეოფილიეოს, მაგრამ შიშისგან მაინც ნაირი ფიქრი ერეოდა თავში.

ოთახში შემოცქრიალდა პატარა გოგონა; ბუსრის მკრთალი შუქი ნაზათ მიადგა მას; იგი ჩარლზედ ცოტა მოზრდილი იქნებოდა; ხელში სინი ეჭირა და მთელ მის მიხვრა მოხვრაში ალერსი და მორცხვობა ისატებოდა

ჩარლი მიუახლოვდა ბავშს და ალერსით დაუწეო ცქერა; გოგონა მეტათ ლამაზი იეო, მას მშვენიერი რბილი თმა ჰქონდა, რომელსაც უკან გადავარდნილი თავშალი ალარ ჰფარავდა.

— როგორ შემაშინეთ! სთქვა ჩარლმა,—მე თქვენ მოჩვენება მეგონეთ, ეგ რა გიჭირავთ ხელში?

— ეს თქვენი ვახშამია; მართალია დღესასწაულისთვის იგი შესაფერი არ არის, მაგრამ მხარეულმა სთქვა, რომ მას თქვენი «ვახშმისთვის არა სცალიან».

— არა უშავს რა, მე მაინც არა მშიან, სთქვა ჩარლმა და ცდილობდა ქვითინი შეეშაგრებინა.—მოხარშული ციცი ხორცი.. ეს არც თუ ისე ცუდია, მეტადრე როცა გშიან. მაგრამ ეს შობა ხომ თქვენთვისაც ნამდვილი შობა არ არის?..

მერე სიჩქაროთ დაუმატა ბავშმა, რომელსაც ელვასავით გაურბინა ასალმა ფიქრმა თავში;—ეს როგორ მოხდა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იმათ არ მოინდომეს ჩემი წაყვანა, — ეუბნება გოგონამ და ტუჩები აუკანკალდა, — მაგრამ ერთის მხრივ მე ეს კიდეც მიხარიან!.. თქვენ ხომ ძრიელ დაღონდებოდით სრულიათ მარტოთ-მარტო რომ დარჩენილიყავით?.. არა?..

— თქვენ ძრიელ გულ-კეთილი ბრძანდებით... მაშ თუ გნებავთ, მოდით და ერთათ შევექცეთ ცივ ხორცს; ეს იქნება ჩვენი საშობაო ვახშამი.

ორთავენი ჩამოსხდნენ იქვე ბუხართან და ცივი ხორცით და ჰურით იტენავდნენ ებებს. ისინი არც კი მოელოდნენ, თუ ასეთი გემრიელი იქნებოდა მათი ღარიბი ვახშამი.

— ეური დამიგდეთ რა გითხრათ, დაიწყო ჩარლმა, — რა მშვენიერება იქნება, რომ მთელი ორი კვირის განძავლობაში ასე განუწყვეტლივ თოვდეს და ისეთი დიდი თოვლი მოვიდეს, რომ ვერავის შეეძლოს ჩვენამდის მოხწვევა... კარგი არ იქნება ეს?!.

— რა ვიცი, როგორ გითხრათ! გაუბედავათ მიუგო გოგონამ; — ქვეით, მართალია, სანოვაგე ბლომათ არის, მაგრამ მისს კროჰჰერი, სტუმრებს მოელის. ეჰ, სჯობია აბისთანა ლაპარაკს სრულიათ თავი დავანებოთ, თორემ თქვენ სხვა და სხვა საჭმლის სსენებაზე მგონი რომ უფრო მოგშივდეთ.

— ეგეც მართალია, მიუგო ჩარლმა, — მაგრამ მე ხომ თქვენი სახელი არ ვიცი!.. რა გქვიანთ თქვენა? სახქაროთ დაუმატა ბიჭუნამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე ჯენი მქვიან, მიუგო ბავშმა,—მე აქ იმიტომ ვარ აუვანილი, რომ საქმეში მივეშველო.

ჩარლი გაოცდა; მას სრულიათ ვერ გაეგო, თუ ვის უნდა მიშველებოდა ეს პატარა გოგონა, მაგრამ კითხვა ვერ გაბედა.

— იცი რა? შესძახა ჩარლმა მოულოდნელად,— მე თქვენ ამას იქით ლედი ჯენს დაგიძახებთ; ჰო და აი რის თქმა მინდოდა ლედი ჯენ; წარმოვიდგინოთ ჩვენ, რომ ეოველივე თქვენი ნატვრის ასრულება შესაძლებელი გახდეს, მაშინ თქვენ რას ინატრებდით?

— აი რას: მე არასოდეს არ ავდგებოდი მაშინვე დილა ადრიან რომ გამაღვიძებდნენ, არამედ გადავბრუნდებოდი მეორე გვერდზე და ტკბილათ დავ-ძინებდი; მთელი დღე მხოლოთ ინდოურს და ჰუდინგს ვჭამდი და მთელი დღის განმავლობაში მხოლოთ ტიკინების წარმოდგენას უცქეროდი».

სწორეთ ამ დროს გაისმა რაღაცა ხმაურობა; გოგონა გაჩუმდა; ეზოდან ერეთ მოისმოდა დალაბანდის და ფლეიტის ხმა; ბავშვები ფანჯარას მისცვივდნენ, მათ გადასედეს დაღვრემილ გზას და დახეთ... ჯენის ოცნება უკვე განხორციელებულიეო.

სწორეთ ალაეაფის კარების წინ იდგა პატარა თეატრი, რომელიც ფარნით იეო განათებული; თეატრის გვერდით ჩაცუცქულიეო ერთი პაწია სასაცილო ძაღლი, რომელიც სიცივისაგან ძალზედ ცახცა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხებდა; იქვე იჯდა ქალი ბ დალაბანდს უკრავდა, ცეკვიდა ედგა ერთი კაცი, რომელიც ჰალტოში მაგრა გახვეულიყო და ქუდი კეფაზე გადაეშვლიპა. ჰატარა ხანს უკან დალაბანდის ხმა შესწყდა; კაცმა შემოჰკრა ტაში და გაიძვერა ხელი, რომელზედაც, გადახტა სიცივისაგან მოკრუნჩხული ძაღლი; მაგრამ მათ თავიანთი ხმაურობით ვერც ერთი ჰაღლი-კროსსის მცხოვრები ვერ გამოიტუეს თავის თბილ ბუნაგიდან. მსახიობნი აიბარგნენ, მაგრამ არ იცოდნენ საით წასულიყვნენ; ისინი ერთმანეთში თათბირობდნენ; ჰატარა ხანს უკან ჰალტოიანი კაცი შემოვიდა ალაყაფის კარებში და ჰირდაპირ სკოლისკენ გასწია. ლედი ჯენი სისარულისგან კინალამ გადირია

— მოდიან, მოდიან, ჩასჩურჩულა მან ჩარლს.

ამ დროს გაისმა საშინელი ზარის წკარუნი; ლედი ჯენი შეკრთა და შეშინებულის თვალით ჩარლს შეხედა.

— წამოდი ქვეით ჩავიდეთ, მამაცათ სთქვა ბიჭუნამ და ამ სიტყვებთან ერთათ ხელი-ხელ ჩაკიდებულნი ორთავენი დაეშვნენ ბნელ კიბეზედ.

— თუ შეგიძლიანთ რითიმე დაგვეხმარეთ.. დაიწყო კაცმა ხრინწიანის ხმით, მაგრამ ლედი ჯენმა სიტყვა არ დაამთავრებინა; მან ეოველისფერი გადაავიწყდა და ესლა მხოლოთ თავის დიდი ხნის ოვნებას ღა ხედავდა თვალ-წინ.

— მობრძანდით, მობრძანდით, აკანკალებულის ხმით მიეგება მათ გოგონა—აი იმ კაცსაც დაუძახეთ, იმ ქალსაც, თქვენი ძაღლიც მოიყვანეთ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცი მიბრუნდა, ერთი საშინლოთ დაუსტვინა და ხელი დაუქნია.

— წამობრძანდით ზემოთ, სთქვა ლედი-ჯენმა, — „თეატრიც“ თან ამოიტანეთ.

მსახიობის გაკვირვებას საზღვარი არა ჰქონდა; ეველანი შევიდნენ მოზრდილ საკლასო ოთახში, რომელიც მხოლოთ სანთლის და ოდნავ ბჟუტავ ბუხრის შუქით იყო განათებული. გოგონას სიამოვნებისაგან სახე უბრწყინავდა; იგი საჩქაროთ დაჯდა, ერთი ღრძათ ამოისუნთქა და მიმართა:

— აბა დაიწყეთ.

— უკაცრავათ, ქალბატონო, მაგრამ მე ვგონებ, რომ ჩვენ ერძანეთისა არ გვესმის. თუ აქ საკმარისი საზოგადოება არის, რომელსაც სურს წარმოდგენის ნახვა, მაშინ, რასაკვირველია, დიდის სიამოვნებით დავიწყობთ, რადგანაც უსვი ჯილდოს იმედი გვექნება...

ქალმა შეაწყვეტინა მას სიტყვა და მიუბრუნდა ბავშვებს.

— ჩემო კარგნო, ალერსიანათ დაიწყო მან, — აქ მგონი ჩვენს მეტი არავინ არის?

ჩარლიმ ოოველისფერი მოკლეთ აუხსნა. მან უთხრა, რომ მათი ამოწვევა ლედი ჯენის საქმე იყო, რადგანაც ტიკინების წარმოდგენის ნახვა მის დიდის ხნის ოცნებას შეადგენდა, მსუქანმა კაცმა თვალები დააჭყიტა, ქალმა დალაბანდი გვერდზე გადასდო და მათმა ამხანაგმა ჰალტო გაისადა.

— ღმერთო ჩემო, ეს ხომ ჰამლეტია, შეჰვევირა გაოცებულმა გოგონამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩემო ბატარებო, დაიწყო ქალმა,—წელს ჩვენ ძლიერ ცუდი შობა დაგვიდგა: ჩემს ქმარს დოფფის, მე და ფლეტტერს ულუკმა-ბურით და უგრეშოთ მოგვიხდა მგზავრობა ამ საშინელ თოვლში. ჩვენ ეველანი ძრიელ ცუდ გუნებაზე ვართ და აი ამისთანა სახელგანთქმულ ბამბულასაც კი, როგორიც ფლეტტერსი არის, არ შეუძლიან სუმრობა და ოხუნჯობა, რადგანაც შიშშილისაგან კუჭი ეწვის.

ჩამოვარდა სიჩუმე, რომელიც ბოლოს ჩარლმა დაარღვია.

— აი საქმე რაშია, დაიწყო მან;—მართალია დღეს შობა ღამე არის, მაგრამ ჩვენ თვითონაც მხოლოთ მოხარშული ხორცით და ბურით დაუხვდით ამ ბრწინვალე დღესასწაულს, ამიტომ არ ვიცით, ღმერთმანი, თუ რითი გაგიმასპინძლდეთ...

— როგორ, შეჭვევრა ბამბულამ—ნუ თუ სახლში არა გეგულებათ რა?

— როგორ არა, დაიწყო ლედი ჯენმა—ძრიელ ბევრი, მაგრამ ეოველივე ეს ჩვენ არ გვეკუთვნის. გოგონას ხმა ჩაუწყდა და საბრალოთ გადახედა ჩარლს.

— მომწონს შენი გულკეთილობა, მედიდურათ წარმოსთქვა დოფფიმ,—მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ფლეტტერსი აქაურობას ვეღარც კი გაახწევს და სიმშილისაგან სული ამოხდება; მისს დოფფიც აგერ ძლივს ღა ლასლასებს; ჩემზედ მე აღარას ვიტყვი, რადგანაც საკმარისი სიმსუქნე მაქვს, მაგრამ, ბატარავ, აბა შეხედეთ ტობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭკვიანი ძაღლი თითქოს მიხვდა ამ უკანასკნელ სიტყვებს, თავი ძაღლა აიღო და საბრალოთ ღმუ-ილის მოჰყვა. ჩარლმა აქ კი ვეღარ მოითმინა, ჩაავ-ლო ხელი ლედი ჯენს და ოთახიდან გავიდა.

— წამოდით შეჰყვირა მან.—ჩვენ სიმშილით სულს ვერ ამოვართმევთ ამ საცოდავებს.

მაშინ კი ყველანი საკუჭნაოსკენ გაემართნენ. წინ მიუძღოდა სანთლით ჯენი, მას მისდევდა ჩარლი, ჩარლის უკან ტობი მიცუნცულებდა, შემდეგ დოფფი თავისი მეულლით და ყველაზედ უკან ჰამპულა მიჩან-ჩალებდა.

კარგა მოზრდილ საკუჭნაოში ყველამ ღრმათ ამოი-სუნთქვეს, ტობი კი იქვე ჩამოცუცქდა, ერთი დაიწ-კმუტუნა და ენა გადმოაგდო, თითქოს ამითი უნდოდა ეჩვენებინა, რომ იგი მზათ იყო საქმისთვის ხელი მიეყო.

ჰატარა ხანს უკან ჰროცესსია ხელ-ახლათ ჩამწ-კრივდა; ყველას ხელში რამე ეჭირა; დოფფის სად-ღაც ეპოვნა ორი ბოთლი და იღლიაში ამოეჩარა; ყველანი ისევ საკლასსო ოთახში დაბრუნდნენ, სა-დაც მისს დოფფი უკვე სუფრას შლიდა; საჩქაროზედ შემოუსხდნენ მაგიდას და კარგა ხნის განმავ-ლობაში მხოლოთ დანა-ჩანგლის ხმაურობა ღა ისმოდა; ბოლოს, როდესაც ფერდები ამოიმღეს, მაგიდა-ზედ მხოლოთ ნამცეცები ღა მოსჩანდა.

საკვირველია, ბავშვებმა უცბათ რაღაც უკმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეოფილება იგრძნეს. ლედი ჯენმა ველარ მოითმინა, მიუბრუნდა ფლეტტერს და უთხრა:

— საწყენათ კი ნუ ჩამოძართმევთ სიტყვას, მაგრამ უნდა გამოგიტუდეთ, რომ თქვენ სრულიათ გამრეობი და ოხუნჯი არა ხართ.

— ოხუნჯი არა ვართ?!. ღიმილით წარმოსთქვა ფლეტტერსმა,—თქვენ გინდათ ადამიანმა იოხუნჯოს მაშინ, როდესაც მას შიმშილისაგან თვალი უბნელდება!

— ეხლა ხომ ადარა გშიანთ? ჩაურთო სიტყვა ჩარლმა;—მე მინახავს ჭამეულა, რომელიც სხვა ფრივ არ გაივლიდა, თუ ფეხის ქუსლებს წინ არ მოიქცევდა.

თვალის დახამხამებაზედ ეოველისფერი მზათ იყო; გაანათეს ოთახი, დოფფიმ ჩამოიკიდა დალაბანდი, თვით დოფფი საიდუმლოებით მოცულ ფარდას ამოეფარა, რომელიც თეატრსა ჰფარავდა, ტობი კი უკანა ფეხებზედ შედგა. ლედი ჯენ და ჩარლი ერთათ დასხდნენ და მთლათ ეურადღებათ გადაიქცნენ. ვიშ, რა ძშვენიერებაა! მაგრამ ბავშვებს მალე მოერიათ ძილი, თუმცა კი თავს იმაგრებდნენ; ამათ ეჩვენებოდათ, თითქოს ჭამეულა იქ, სადაც მირს დასტოდა, ბალაბანდის ხმა რაღაცა ერუდ მოისმოდა და ბოლოს ეოველისფერი მიეუჩდა. ბავშვებს ერთმანეთისთვინ მაგრა გადაეხვიათ ხელი და ტკბილათ ეძინათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკვე შუა ღამე გადასულიყო, როდესაც ზარმა წკარუნი გაისმა; ბავშვები წამოხტნენ; ისინი სრულიათ მარტონი იყვნენ. ლედი ჯენი ჯერ ვერც კი გამოფხიზლებულიყო, რომ სარკეზედ გაისწორა თავშალი და კიბეზედ დაეშო, ალაყაფის კარებთან იდგა მთლათ დათოვლილი ეტლი. ეტლიდან გადმოვიდა წამოსადეგი კაცი და მოუთმენლათ სახლში შეეარდა.

— სად არის ჩემი შვილი? შეეკითხა იგი ლედი ჯენს.

ჩარლიმ ხმა იცნო და სარკეზედ გამოვარდა საკლასო ოთახიდან.

— ჩემო მეგობარო, ჩემო საყვარელო შვილო! მაპატიე, რომ მარტოკა დაგტოვე. ჩვენ ესლაგე უნდა წავიდეთ; ჩაიცვი, საყვარელო, ჰალტო, დანარჩენ შენ ბარგს მერე გამოგიგზავნიან.

ჰირველათ ჩარლს მამის დახახვაზედ ეოველისფერი გადაავიწყდა, ფლეტტერსიც, ტობიც, თეატრიც, მაგრამ ესლა ეგელა ესენი ისევ თვალ-წინ წარმოუდგა და შიშით გადახედა თავიანთ ნასუფრალს.

— მამა, წაიჩურჩულა ბავშმა, — მე...მე... მე ძრიელ ბევრი შეეჭამე... ეგელანი წავიდნენ... მე მარტო დავრჩი...და მე...

— არა უშავს რა. ჩემო ბიჭუნი, ხვალ, როდესაც მისს კროჰჰერს ფულს გამოვუგზავნი ვახშამის ფულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საც არ დავივიწყებ; რამდენსაც მეტყვი, იმდენს გამოვგზავნი. ეხლა კი წავიდეთ, შვილო.

ჩარლიმ სული გაუწოდა ლედი ჯენს და წასჩურჩულა:

— მამა გადაიხდის ვახშმის ფულს, არა უშავს-რა. მაგრამ რა მშვენიერობა იყო, ლედი ჯენ, არა?.

— ოჰ, მართლაც რო მშვენიერი საღამო იყო, ჩარლ, ამოიოხრა გოგონამ.

როდესაც ჩარლი ეტშლი ჯდებოდა მან შეამჩნია თოვლზედ ქალის და ორი კაცის ნაფეხურები; ამ ნაფეხურების ირგვლივ მოსჩანდნენ ძაღლის ბაწაწინა ნაფეხურებიც; ადამიანს ეგონებოდა, რომ ტობი სულ ხტუნვით გაჰყოლია თავის ბატრონებს.

(თარგმანი)

ნ. ბაქრაძე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ქოხში.

ერეთა თოვს, სიცივეა,
ჩვენს ქოხში კი დღესა თბილა;
მოუთმენლად ველოდებით
ჩქარა დადგეს შობა დილა.
ბუხარს ცეცხლი ემატება
და ბებია აკეთებს ქადას;
თაფლს უსვამს და ქიშმიშს აყრის,
ალამაზებს, გვიხსნის მადას.
სავსე კეცებს ატრიალებს,
ზღაპარივით გვეტყვის თანა:—
შვილო, დღეს ჩვენ გავიხსენოთ
წარსული დრო, ძველი ხანა. .

მე გიამბობთ იესოზედ.
ის იშობა ღარიბ კერას,
მაშინ მწყემსთა ყური მოჰკრეს
ანგელოზთ ხმას, ცით გალობას...

გალობაში ეს ისმოდა: –
„მოგვევლინა მიწას ღმერთი,
„დევნილი და უბედური
„არ დარჩება აღარც ერთი.

„ხალხს ასწავლის, იქადაგებს
სიმართლეს და სიყვარულსა.
ხალხის გულში გააღვიძებს
სიცოცხლის ნიჭს დიადს, სრულსა.

ბაბილინა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კავკასიის ტყვე.

(ლევ ტოლსტოისა).

(შემდეგი).

ერთხელ ძლიერი ჭექა-ქუხილი იყო; თან ერთ საათს კოკისპირულად წვიმდა. პატარა მდინარეები აიმღვრა, სადაც ფონი იყო, ეხლა სამ არშინზედ ავიდა წყალი. ყველგან მღვრიე ნაკადულები გაჩნდა. წვიმის შეწყვეტის შემდეგ ნაკადულები მაინც არ დამშრალა. ჟილინმა ერთ თათარს დანა გამოართვა და ხის ბორბალი გამოსჭრა. ბორბალზედ აქეთ-იქით დედოფალები მიაბა. დედოფალები ერთი კაცათ შემოსა, მეორე ქალათ. ბორბალი მოაწყო ნაკადულზედ. ტრიალობს ბორბალი და დედოფალებიც ხტიან.

მთელი სოფელი მოგროვდა ამ ადგილას: ბავშვები, ქალები და კაცები. ყველანი გაკვირვებული ამბობდენ:

— ჰაი, რუსო! ჰაი, ივანე!

აბდულს ერთი ძველი რუსული საათი ჰქონდა. საათი დამტვრეული იყო და არ მუშაობდა. დაუძახა ჟილინს, მისცა საათი და თან რაღასაც ეუბნება თათრულად.

— მომეცი, ეხლავე გავაკეთებო. უთხრა ჟილინმა. გამოართვ ასაათი; დაშალა პატარა დანით; მერე ხელახლად გამართა და გადასცა აბდულს, საათი მშვენიერათ მუშაობდა. თათარს ძალიან გაუხარდა. სამაგიეროთ ჟილინს თავისი ძველი ახალუხი აჩუქა ,,რას იზამ, ესეც გამოადგება კაცსო'', იფიქრა ჟილინმა. მას შემდეგ გავარდა ხმა სოფლებში: ჟილინმა ყოველგვარი ხელობა იცისო. ეხლა სხვა სოფლებიდანაც მოდიოდა ხალხი. ზოგს დამბაჩა მოჰქონდა გასაკეთებლათ, ზოგს თოფი, და სხვა. საჭირო იარაღები აბდულმა მისცა ჟილინს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟილინი ცოტათ შეეჩვია თათრულ ენას. ზოგიერთ ადგილ-
რებს ძალიან შეუყვარდათ ჟილინი და, როცა დასჭირდებო-
დათ რამე: ,,ივანე'' ივანეო,—დაუძახებდენ ხოლმე.

მხოლოთ წითელ თათარს სძულდა ჟილინი. დაინახავდა
თუ არა ჟილინს, დაიღრიჭებოდა და გაივლიდა; თუ არა და
კიდეც გალანძღავდა. სოფელში იყო კიდევ ერთი მოხუცებუ-
ლი თათარი. ეს თათარი თითონ სოფელში არ ცხოვრობდა;
მთიდან ჩამოდიოდა ხოლმე ყოველთვის. ამ თათარს ჟილინი
მარტო მაშინ ხედავდა ხოლმე, როცა ის სალოცავათ მიდიო-
და მეჩეთში. მოხუცებული თათარი დაბალი ტანისა იყო, ბამ-
ბასავით თეთრი წვერ-ულვაში შეკრეჭილი ჰქონდა. პირისახე
აგურივით გაჭიხებოდა. სიარულის დროს მგელივით აქეთ იქით
იცქირებოდა ხოლმე. ჟილინს დაინახავდა თუ არა, ერთს ამო-
ოხრებდა და გაბრუნდებოდა.

ერთხელ ჟილინი მთაზედ წავიდა, რომ თათრის სადგო-
მი დაეთვალიერებია. გზაზედ ბაღი დაინახა. შუაში ძველი
ქოხი იყო მოვაკებული სახურავით. ჟილინი ახლოს მივიდა,
დაინახა: ბლეკს ქვეშ სკები და დადგმული და ფუტკრები ბზუ-
ილით შედიან და გამოდიან სკაში. მოხუცი თათარი დაჩოქი-
ლი იყო სკასთან და რალასაც აკეთებდა. ჟილინი ლობეზედ
შედგა, რომ დაენახა, რას აკეთებდა თათარი, მაგრამ ხმაუ-
რობაზედ მოხუცი ზეზედ წამოდგა და, რომ დაინახა ჟილინი.
ამოიღო დამბაჩა და ესროლა. ჟილინმა ძლივს მოასწრო ქვას
ამოფარებოდა

მოხუცი თათარი აბდულთან წავიდა საჩივლელად. აბდულ-
მა ჟილინი მიიხმო და სიცილით ჰკითხავდა:

— შენ მოხუცთან რათ მიხვედიო?

— მე მაგისთვის არაფერი დამიშავებია, მე მხოლოთ მინ-
დოდა გამეგო როგორ ცხოვრობდა ეს მოხუციო; გადასცა
ჟილინის სიტყვები მოხუცს აბდულმა.

მოხუცი ძალიან გაჯავრდა. დაიწყო თავისებური ლანძღვა;
ჟილინს არ ესმოდა ყველა სიტყვის მნიშვნელობა, მარა ის კი
გაიგო, რომ მოხუცი უბრძანებდა აბდულს: ეგ რუსები მოკალი,
ჩვენ სოფელში ნუ გყავსო. მოხუცი თათარი მალე წავიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟილინმა გამოკითხა აბდულს, ვინ არის ეს მოხუცი?

— ეგ დიდი კაცია! — უთხრა აბდულ მა. ახალგაზდობაში მთელ სოფელში პირველი ცხენოსანი ეგ იყო. ბევრი რუსი დაუმარცხებია მაგ მოხუცს, ძალიან მდიდარი ყოფ. იმას სამი ცოლი ჰყავდა და რვა შვილი. მოვიდენ რუსები, აიკლეს სოფელი და შვიდი შვილი მოუკლეს. მარტო ერთი ლა გადარჩა ცოცხალი და ისიც რუსების მხარეს გადავიდა. მოხუციც წავიდა და რუსებს მიემხრო. მათთან სამი თვე იცხოვრა; ნახა იქ თავისი შვილი, თითონვე მოჰკლა და გამოიქცა. მას შემდეგ დაანება თავი ომიანობას. მეჩაშიაც იყო სალოცავათ. ძალიან ეჯავრება იმას რუსები. მე მეუბნებოდა: მოჰკალი ეგ რუსებიო, მაგრამ მე ვერ მოგკლავთ. მე თქვენში ფული მაქვს მიცემული მერე კიდევ ივანე, მე შენ ძალიან შემიყვარდი. იცინის აბდული და ლაპარაკობს თავისებური რუსულით: ,,თვაია ივან ხაროშ! მაია აბდულ ხაროში!-ო''.

უკვე ერთი თვე გავიდა, რაც ჟილინი ტყვეობაში იმყოფებოდა. დღისით დადიოდა ახლო მახლო ადგილებში ან აკეთებდა რასმე; ღამით კი, როცა ,თელი სოფელი ღრმა ძილს მიეცემოდა, ჟილინი სარაიაში მიწის თხრას დაიწყებდა ხოლმე. ძალიან ძნელი იყო ქვიანი მიწის გამოთხრა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ - დიდის გაჭირვებით ისეთი ხვრელი გააკეთა კვდლის ქვეშ, რომ თავისუფლად გაძვრებოდა კაცი ,,მარტო ის ღა მინდა გავიგო, თუ რომელ მხარეს უნდა ვიარო'' ფიქროობდა ჟილინი: ,,თათრები არც ერთი არას მეუბნება გზის შესახებ''.

ერთხელ სადილის შემდეგ აბდული სადღაც წავიდა. ჟილინმა დრო იხელთა; წავიდა მთისკენ, რომ იქიდან გზები დაეთვალიერებია. როცა აბდული წავიდოდა სადმე, პატარა ბიჭს დაუბარებდა, ჟილინისთვის თვალი არ მოეშორებია. დაედევნა პატარა ბიჭი ჟილინს და უყვირის:

— ნუ მიხვალ! მამა გაჯავრდება, ეხლავე ხალხს დავუძახებ. ჟილინმა დაამშვიდა პატარა ბიჭი.

— მეო, ეუბნება, — შორს არ მივდივარ; მარტო აი იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთაზედ ავალ. შენც ჩემთან წამოდი. ბორკილებით, აბა, გორ გავიქცევი? ხვალ კარგ შვილდ ისარს გაგიკეთებ.

პატარა ბიჭი დათანხმდა. წაკიდენ მთისაკენ. მთა ახლოს იყო, მაგრამ ძლივს ძლიობით ავიდა ბორკილებით დახუთული ჟილინი.

ჟილინი დაჯდა და არემარის დათვალიერება დაიწყო. კარგა ნოშორებით მინდორში ჯოგი სძოვდა. იქვე ახლოს მეორე სოფელი მოსჩანდა. იმ სოფელს იქით კიდევ მაღალი მთა იხედებოდა. მთის გადაღმა კიდევ მთა. მთებს შუა მწვანე ტყე სჩანდა. იქით მთები და მთები, ერთი მეორეზედ უფრო მაღალი. ყველაზედ უფრო მაღალი მთა თოვლით იყო დაფენილი. ალმოსავლეთით თუ დასავლეთით, სულ ასეთივე მთები იყო. აქა-იქ მთების შუა ბოლი ამოდიოდა. ალბათ, თათრების სოფლები იყო. ,,ეს თათრების სოფლებია'', ფიქრობს ჟილინი. რუსების მხარეს გაიხედა. მთის ძირას ის სოფელი იყო, სადაც ჟილინი იყო ტყვეთ, სოფლის ბოლოს პატარა მდინარე მიჩანჩქარებდა. მდინარის გაღმა მთა არის ამართული; ამ მთას იქით კიდევ ორი მთა—ტყით შემოსილი. ამ ორ მთას შუა დიდი გაშლილი მინდორი იყო. ამ მინდვრის ბოლოს შორს, ჟილინმა ბოლს მოჰკრა თვალი. მოისაზრა ჟილინმა, რომელ მხარეს ამოდიოდა და ჩადიოდა მზე, როცა ის ციხეში ცხოვრობდა, გადაწყვიტა: სწორეთ ამ მთებს იქით უნდა იყოს ჩვენი ციხე, ამ მთებისკენ უნდა გავიქცე, თუ მოვახერხეო.

მზე უკვე ჩადიოდა. თოვლით დაფენილი თეთრი მთები ვარდის ფერათ შეიღება. შავ მთებში ჩამობნელდა. მოლა გაყვირის მეჩითში; საქონლის ჯოგს მიერეკებიან სოფლისაკენ. თათრის ბიჭი მოსვენებას არ აძლევს ჟილინს. ეუბნება. წავიდეთო.

ორნივ სოფლისაკენ წამოვიდენ. „ეხლა გზა ვიცი. უნდა გავიქცეო.“ გადაწყვიტა ჟილინმა. მოინდომა იმავ ღამეს გაქცეულიყო. ღამე ძალიან ბნელი იყო. საღამოს ყველა თათრები სოფელში დაბრუნდენ, საზოგადოთ საღამოობით თათრები მხიარული დაბრუნდებოდენ ხოლმე, რადგან ან ტყვეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოიყვანდენ ვისმე ან და სხვას ჯოვს მოსტაცებდენ. დღეს კი არც ჯოგი მოურეკიათ და უნაგირზედ დაკრული მკვდარი თათარი მოიტანეს. ეს მკვდარი თათარი წითელი თათარის ძმა იყო. ძალიან გაჯავრებული იყვენ. შეიკრიბენ ყველანი მკვდრის დასასაფლავებლათ. ჟილინი გარეთ გამოვიდა ამბის გასაგებათ. კუბო არსად ჩანდა; შეახვიეს მკვდარი ტილოში, გაიტანეს მინდორში და ხის ძირას დაასვენეს. მოვიდა მოლა; შეიკრიბენ მოხუცებული თათრები და დაიჩოქეს მკვდრის წინ.

წინ მოლაა. მერე სამი, პირსახოცით თავწაკრული, თათარი და ულკან კიდევ სხვები სხედან და არიან გაჩუმებულნი. დიდხანს იყვენ ასეთ მდგომარეობაში; მერე აიღო თავი მალლა მოლამ და წარმოსთქვა:

— ალახ! სთქვა ეს ერთი სიტყვა და ისევ დაჩუმდენ. მკვდარი უძევსთ წინ და თითონაც მკვდრებივით სხედან, არ იძვრიან. ხის ფოთოლის შრიალიც კი ისმის, ისეთი სიჩუმეა. მერე მოლამ ლოცვა წაიკითხა. ყველანი ადგენ. აიღეს მკვდარი და დამზადებულ ორმოსთან მიიტანეს. ორმო გვერდზედ იყო გამოთხრილი. დაუწყვეს მკვდარს გულზედ ხელები და შედვეს ორმოში. მოიტანეს ჭინჭარი, დაფარეს მითი მკვდარი და მერე მიწა მიაყარეს. დაიჩოქეს ისევ საფლავის გარშემო და დიდხანს ჩუმათ იყვენ.

— ალახ! ალახ! ალახ! წარმოთქვეს და ადგენ. წითელმა თათარმა მოხუცებულებს ფული დაურიგა, მერე აიღო სახრე, სამჯერ დაირტყა შუბლზედ და შინისკენ წავიდა.

მეორე დღეს წითელმა თათარმა გამოიყვანა ცხენი და სოფელს გარეთ წაიყვანა. მასთან სამი სხვა თათარიც იყო. წითელმა თათარმა ამოიღო ხანჯალი და სალესი ქვით ლესვა დაუწყო. თათრებმა ცხენს თავი დაუჭირეს; მოვიდა წითელი თათარი და ხანჯლით ყელი გამოჭრა. დასცეს მიწაზედ ცხენი და გატყავება დაუწყეს. მოვიდენ ქალები და ბავშვები და ცხენის შიგნეულები დაასუფთავეს. აქნეს ცხენი ასოებათ და სახლში შეიტანეს. მთელი სოფელი შეიკრიბა წითელი თათრის სახლში მიცვალებულის მოსაგონებლათ. სამ დღეს გაგრძელდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკვდრის პატივის საცემი წესი. ამ დღეებში ყველა თათრები სახლში იყვენ. მეოთხე დღეს შენიშნა ჟილინმა, რომ თათრები სადღაც მიემგზავრებიან. მოიყვანეს ცხენები; შესხდა ათი კაცი და წავიდენ. წითელი თათარიც მათში იყო, მხოლოთ აბდული სახლში დარჩა.

„სწორეთ კარგი დროა გასაქცევად.“ ფიქრობს ჟილინი. თავისი განზრახვა კოსტილინსაც შეატყობია, მაგრამ კოსტილინი ძალიან შეშინდა.

— როგორ უნდა გავიქცეთ? მერე გზა რომ არ ვიცით?

— მე ვიცი გზა.

— მაინც ვერ ვივლით. ბნელი ღამეა.

— თუ ვერ მივაღწევთ ციხემდის, ტყეში გავითევთ ღამეს. აქ რა უნდა უცადო? კარგია თუ ფული გამოგიგზავნეს, მაგრამ იქნებ ვერ იშოვონ ფული, მაშინ? თათრები ძალიან გაჯავრებული არიან; რუსებმა ამხანაგი მოუკლეს. ჩვენი მოკვლა უნდათ ჯავრის საყრელათ.

იფიქრა, იფიქრა კოსტილინმა და უთხრა.

— კარგი, წავიდეთო!

ჟილინი ხვრელში შეძვრა და უფრო ფართოთ გამოთხარა მიწა, რომ კოსტილინიც გამძვრალიყო ხვრელიდან. სხედან ორნივე და უცდიან, სანამ სიწყნარე ჩამოვარდებოდეს.

მიყუჩდა თუ არა სოფელი, ჟილინი ხვრელში შეძვრა და გარეთ გავიდა. ეჩურჩულეპა იქიდან კოსტილინს: „აბა, გამოდი მალეო.“ შეძვრა კოსტილინი ხვრელში, მაგრამ ქვას წამოკრა ფეხი და გაიხმაურა. აბდულს ძალიან ავი ძაღლი ჰყავდა ამ ძაღლს „ულიაშინ-ს“ უძახოდენ. ჟილინმა ადრევე მიიჩვია ეს ძაღლი, რადგან იცოდა, რომ ვერ გაეპარებოდა, როცა გაქცევას დააპირებდა. ულიაშინმა რომ ხმაურობა გაიგონა, დაიყეფა და იქით გაიქცა, საიდანაც ხმაურობა შეპოესმა. ჟილინმა პურის ნაჭერი გადაუგდო ძაღლს; ძაღლმა იცნო ჟილინი და გაჩუმდა.

აბდულს შემოესმა ძაღლის ყეფა და სახლიდან დაიწყო ყვირილი. „გაიტ, გაიტ, ულიაშინ!..“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულიაშინი კი ჟილინს ელაქუცება და ისიც ფიცხელად უსვამს. ჟილინი და კოსტილინი დიდხანს იყვენ ქოხის კუთხეში მიყუჟული. ისევ დაწყნარდა ყველაფერი, მარტო მდინარის ჩანჩქარი ისმოდა შორის მანძილიდან.

წამოდგა ჟილინი და ეუბნება კოსტილინს: „აბა, ძმაო, აიდა!“ წავიდენ, მაგრამ გაიარეს სამი თუ ოთხი ნაბიჯი და მოლას ყვირილი შემოესმათ: „ალლა! ბესმილლა! ილრახმან!“ წავიდეთ, ხალხო, მეჩეთშიო. დაჯდენ ისევ. ამოეფარენ კედელს და უცდიან სანამ ხალხი გაივლიდეს. ისევ სიწყნარე ჩამოვარდა.

ტ. ვეფხვაძე.

(შემდეგი იქნება.)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეზობლები.

საშობაო ამბავი

ერთ ქალაქის დიდ ქარხანაში უცბათ შეწყდა მუშაობა. საქსოვი მანქანები აღარ ახმაურდენ, აღარც საფეიქროს გაჰქონდა ხმაურობა და აღარც ტარაბუას. სრული სიმშვიდე და სიჩუმე ჩამოვარდა გარშემო.

— შაბაშ! თქვეს მხიარულათ მუშებმა. — შობა დაგვიდგა.

კაცები და დედაკაცები. დიდი და პატარა ყველა გაეშურა კანტორაში ფულის მისაღებათ.

— ეს ორი დღე და ნახევარი სულ უნდა ვიქეიფოთ, დავისვენოთ, ამბობდნენ ყველანი.

ახალგაზრდა მუშები სახლში აპირებდენ დაბრუნებას. ზოგი კი ფიქრობდა გასართობებზე წასვლას, გარმონიკაზე ცეკვას მოხუცებულები კი აშბობდენ: უნდა ერთი კარგათ გადავკრათო. პეტკას დღესასწაული უფრო იმიტომ ახარებდა, რომ სხვა ყმაწვილებთან საკმაოდ ითამაშებდა, ინავარდებდა.

— პეტრე გეოზდიოვ! დაიყვირეს კანტორიდან.

— პეტკა გიძახიან!

— ეი, პეტკა, მიდი რაღა!

ისმოდა ყოველ მხრიდან, ზოგი კ ნწსში ჰკრავდა, ზოგი იმეორებდა მის სახელს. ბავში თავ-გამოდებით წადგა წინ.

— ექვსი დღისა გერგება თორმეტი აბაზი, დაიჭი შენი წიგნაკი და პეტკას გადუგდეს წითელი კარანდაშით აღნიშნული გაქონილი წიგნაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეტკა მიეიდა მეორესთან, იმანაც რაღაც დაუნიშნა ქალალდზე და ბოლოს ხაზინადარმა მისცა თორმეტი აბაზი.

ყმაწვილს ეს ფული თავისი ოფლით მოეგო. ექვსი დღის განმავლობაში ამას ათ ათი საათი დაუღალავათ ემუშავნა საფეიქროში მანქანაზე.

მერე რო იცოდეთ ეს მანქანა როგორა გვანდა უზარმაზარ გველეშაპს. პეტკაზე რამდენათ დიდი იყო. ყმაწვილი მეტათ მარჯვე უნდა ყოფილიყო: თუ ან ძაფი გაწყდებოდა, უნდა დროზე წვერი გადაეგრიხა, რომ არ დარღვეულიყო, ან თუ ძაფის კოჭი დაცარიელდებოდა, მაშინვე სამაგიეროთ ახალი უნდა ჩაედგა.

ამ ქარხანაში ათზე მეტი საქსოვი მანქანა იდგა, საფეიქროს-მაქოები აქეთ-იქით გარბი-გამორბოდენ, ისეც პატარა ბიჭები ჩუმათ გარბი-გამორბოდენ. აქ არ შეიძლებოდა პირის დაღება და ხელების ჩამოყრა!

პეტკა ტყუილათ არ იღებდა ფულს. საქმე თითქოს ადვილი იყო. მაგრამ მთელი დღე აქეთ იქით ტრიალისაგან თავბრუ ეხვევოდა, ყურებს ბზუილი გაჰქონდა, ბეჭები და ფეხები სტეხდა

მისი დის, ანიკას, სამუშავო აგრე ძნელი არ იყო. ის საჩეჩელს უდგა და ბამბას სწეწდა. მართალია ლაპარაკს და სიმღერას არ უშლიდენ, მაგრამ ქარხანაში ისეთი ბტეერი იდგა, რომ ანიკა ხმას ჰკარგავდა, ხველას დააწყებინებდა და თვალებიც უწითლდებოდა.

პეტკამ მიიღო თუ არა თავისი ნამუშევარი სწრაფად ქუჩაში გამოვიდა. მას აღარ მოუცდია არც მამისთვის და არც ანიკასთვის. მათი სახლი სულ ახლოს იყო დედა მისი კი აქვე ჰყიდდა ხოლმე ქადა-ნაზუქებს.

სქელი, წითელ ლოყებიანი დედაკაცი თბილათ ჩაცმული, თავზე თავშალ მოხვეული, ყელზე კალათა ჩამოკიდული ქადა-პურებით სავსე, გაჰკიოდა:

— ქადები! ცხელი ქადები! ეფრემკა წაიღე ყმაწვილებისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღესასწაულების წინ ქუჩა სავსე იყო ახლათ ფულ მი-
ღებული მუშა ხალხით, გეგონებოდათ ბაზრობაო, ქუჩის
წვრივ ორივ მხრით ედგათ ტაბლები: სავსე ხილეულობით,
ხორაგეულობით, ფარჩეულობით. მოისმოდა ხალხის ყაყანი.
ქუჩები ბურუსით შებურული იყო.

საერთო სიმხიარულე იყო ყველგან.

პეტკა მიუახლოვდა დედას, ჩააბარა აღებული ფული,
გამოართვა ქადა და ასკინკილა გაუდგა გზას.

— ანიკაც მალე მოვა? ჰკითხა დედამ.

— ახლა კი მალე მოვა.

ქარხნიდან გამოდიოდენ წყობ-წყობათ მუშები
ხმაურობა თანდათან მატულობდა.

როდესაც ქარხნის წითელ დიდ შენობას ზანზარი გაუ-
დიოდა — მანქანები ხმაურობდენ, საკვამლეები არე მარეს აბ-
ნელებდენ, მაშინ ქუჩაში სამარისებური სიჩუმე სუფევდა.

მაგრამ როგორც კი ჩაჩუმდებოდა ეს უზარმაზარი შენო-
ბა, მაშინ ქუჩა გამოცოცხლდებოდა, ახმაურდებოდა

მალე პატარა გოგონა ანიკაც, შეფუფნული, მიუახლოვდა
დედას, ამანაც ჩააბარა დედას თორმეტი აბაზი და გამოს-
თხოვა ქადა.

— წადით შვილებო, წადით, ირბინეთ, იმხიარულეთ,
მისძახა დედამ და კვლავინდებურათ დაიყვირა:

— ქა... დე....ბი, ვის უნდა ქადები!

ბოლოს ქმარიც მივიდა ამასთან. ის იყო მაღალი ტანი-
სა, პირქუში შეხედულობისა, გაბურძგნული წვერით და ჩა-
ვარდნილი ლოყებით

ცოლმა ალერსით თავი დაუქნია.

— მე წავალ, ცოტა რამეს ვიყიდი, თქვა მან.

— ყიდვით კი იყიდე, მაგრამ ნუ დალევ არაყს.

— კარგი, უპასუხა მან და გასწია სწორეთ იქითკენ, სა-
დაც არაყით გახურებული ვაჭრობა იყო.

პეტკამ და ანიკამ გადირბინეს ქუჩა და შედგენ ერთ
დიდ სახლის წინ. ლობიდან გადმოიყურებოდა ერთი წითელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თმიანი და ყურებ აცქვეტილი პატარა ბიჭი. მას დაგლეჯილი ზამთრის პალტო ეცვა გაქუცული საყელოიანი.

— რაა, გათავდა თქვენი მუშაობა?

— გათავდა უპასუხა პეტკამ.

— ჩვენც გავათავეთ, ყველას ჩავაბარეთ ჩექმები ეხლა ეფრემა გაიქცა არაყის მოსატანათ, თქვა მეჩექმე კოლიამ.

— ამ დილით ერთს მივუტანე ჩექმები და უზალთუნი მაჩუქა, განაგრძო კოლიამ და ერთი გუდიანათ გადიხარხარა.

— ჩვენც დედა დაგიპირდა უზალთუნებს, თქვა ანიკამ.

— რა სიხარულია. საშობაოთ ყველას გვექნება ფული.

— შეხეთ, შეხეთ რა ნაძვის ხეა! დაიყვირა კოლიამ.

მართლაც ერთ სოფლელს მოეჭონდა სწორეთ მათკენ მშვენიერი ნაძვის ხე.

— ენერალშა ფარანინა აქა ცხოვრობს?

კოლიამ უპასუხა:

— აქ არის, აი იქ მარჯვნივ რომ კარებია—მათია...

— მანდედან ნუ შეხვალ, ეზოდან შედი. მოიცა, მე მიგაცილებ. გამოგყვები. უთხრა პეტკამ.

ყმაწვილებმა მიაცილეს სოფლელი და ისევ დაიწყეს სჯაბაასი.

— ნეტა ვისთვის უნდათ ეგ ნაძვის ხე. იმას შვილები ხომ არა ჰყავს, სთქვა პეტკამ.

— ვინმეები თუ მოეკლიან, უპასუხა ანიკამ.

— ჩვენ იმას ფეხთსაცმელი შევუკერეთ, თქვა კოლიამ, — რა დიდი ვინმე ყოფილა. თვითონ მარტოა და მზარეული ქალი, ჰყავს, პელაგია სვიმონის ასული. წარმოიდგინეთ შვიდ ძაღლს ინახავს.

— შენ თვითონ ნახე?

— მე თვითონ, ჩემი თვალით ვნახე. ისა და პელაგია ძაღლებს აბანაებენ, ასუფთავებენ. მერე აწვენენ, მათთვის ქვეშაგები აქვთ გამართული. არა გჯერათ? დაიძახა კოლიამ, როცა შეამჩნია რომ ყურს ეჭვით უგდებდენ —ძაღლებს ტანისაცმელიც აქვთ, სადილსაც თვითონ ენერალშასთან შეექცევიან. მეზობელი ამბობს, რომ მაგას ქვეყანაზე არავინ გააჩნია—თვითონ არი და ძაღლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წავალ ერთი, ცოტას გადავკრავ გავთბები, თქვა ბლიდან გამოსულმა სოფლელმა და გასწია ლუქნისაკენ.

— ერთი შეხედეთ როგორა სდგამენ შობის ხეს? თქვა პეტკამ, რომელმაც შეიხედა ფანჯარაში.

— ესაოეოდ სტუმრებს მოელოდებიან, დასძინა ანიკამ.

* * *

ქარხანასთან ახლოს მეტათ ბევრი მუშები ცხოვრობდენ. ამ დიდ სახლში, სადაც პეტკა ცხოვრობდა, მხოლოთ ერთი დიდი კაცი იდგა, — ეს იყო ქვრივი ლენერლის ცოლი. სხვა ყველანი ქარხნის მუშები იყვენ. ამათ ერთმანერთში დიდი ერთობა ჰქონდათ. ყველა მოიყრიდა ოავს პეტკას ოჯახში და თავიანთ ქეიფზე ატარებდენ დროს. ჩხუბი მხოლოთ მაშინ მოუნდებოდათ, როცა დაითვრებოდენ.

დადგა შობის წინა ღამე. პეტკა თავისი დით და ამხანაგებით მიეკვრენ ლენერალშის ფანჯრებს და ვერ მოეშორე ბინათ თვალი.

ხოგჯერ რომელიმე მათგანი ასტეხდა სიცილს და გაოცებული წამოიძახებდა:

— რა თამაშაა!.. შეხედეთ უკანა ფეხებზე როგორ დახტიან.

— ხა, ხა, ხა! წამოიყვირებდა მეორე

— ღმერთო, რას არ მოიგონებენ! ყმაწვილები სადღა არიან!

— თქვენ ეი, ეშმაკებო! აქ რა გინდათ! დაუყვირა ყმაწვილებს ერთმა მეზობელთაგანმა.

— მოდი ბიძია რა გიჩვენოთ, უთხრა კოლიამ.

მეზობელი ნასვამი იყო, ლახლახით მივიდა ფანჯარასთან და განათებულ ოთახში შეიხედა,

— დასწყევლოთ მაგათ ღმერთმა! რას ჩადიან! გაიფურთხა კაცმა.

— დახე, დახე, უკანა ფეხებზე როგორ ცეკვამენ ეგ შეჩვენებულები, — უთხრა ანიკამ თავის მეგობარ დაშას.

— მოეცალენით მაგ ფანჯრებს! მე თქვენ გაგირიგებთ! სხვა საქმე აღარა გაქვთ რა! დაუყვირა მეეზოვემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყმაწვილები მაშინვე მოშორდენ ფანჯარას, მაგრამ ნასვამი კაცის გაგდება ძნელი იყო.

— ერთი მითხარით, ეს რა ამბავია, ეუბნებოდა ის მეეზოვეს,—განა ქრისტიანი ადამიანი მაგას ჩაიდენს!

— გასწი შენ გზაზე, შენ რა ხელი გაქვს, ეგ ბატონების საქმეა.

— ამბობ, განა, ბატონების საქმეაო! განა ძაღლი ადამიანია! ღვთის სული ედგია...

— გეუბნები, გასწი შენ გზაზე. მეეზოვემ ხელი მოჰკიდა მთვრალ მუშას და მოაშორა ფანჯარას.

— ყმაწვილებო, უცბათ დაიყვირა მატრონამ,—მოდით კოლიო გაჭამოთ,—ყველა მოდით: შენ კოლიაც, დაშაც'...

ყმაწვილები მაშინვე შევიდენ სახლში. აქ ყველა მეზობლებს თავი მოეყარათ.

— რა ვნახეთ, რა ვნახეთ, დაიწყო პეტკამ

— რომ იცოდეთ რა ამბავია ენერალშას ოთახში, წამოიძახა ანიკამ.

— სწორეთ მასხრობაა. ჩაურთო სიტყვა დაშამ.

— შობის ხე დაუდგამთ ძაღლებისთვის... ღმერთმანი მართალს ვამბობ, განაგრძო კოლიამ.

—— მიჰქარამ! თქვა ეფროსმა მეჩექმეშ.

— ღმერთსა ვფიცავ! განაგრძო კოლიამ.

— სწორეთ თამაშაა... თვითონ სავარძელში ჩაბძანებულა, ამბობს პეტკა,—მის გვერდით დგას პელაგია სვიმონის ასული, წინ უდგათ ანთებული შობის ხე, მის გარშემო შვიდი პატარა ძაღლები ხტუნაობენ, ცეკვამენ. გააქვთ წკმუვილი.

— დაგვიჯერეთ, მართალს გეუბნებით! ახლა კოლიამ დაუწყო ყველას დარწმუნება —ხეზე სანთლებია, ძეხვის და ხორცის ნაჭრები ჰკიდია.

— რომ იცოდეთ რამდენი შაქრებია! ტკბილეულობა აუარებელი! თქვა ანიკამ.

— პელაგია ხიდან ჩამოხსნიდა რასმეს, განაგრძო პეტკამ,—მისცემდა ენერალშას. ენერალშა რომელიმე ძაღლს დაუქნევდა ხელს, ძაღლი უკანა ფეხებით მასთან მივიდოდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ენერალშა გაეწვდენდა ძეხვის ნაჭერს, ძაღლი პირით მიესწვდებოდა. სწორეთ სანახავი იყო!

— მაშ რის ენერალშაა, მაგას ყველა ეპატიება! წამოიძახა მატრონამ.

— მაგას მართალს არ ამბობ, უთხრა მეჩექმემ.— ამას წინეთ მაგან ძაღლებისთვის შემაკერვინა ჩექმები... განა ეს წესია!...

— საძაგლობაა და ის არის!... წამოიძახა ერთმა მეზობელთაგანმა.

— ენერალშა რას დასდევს... ფული აქვს და როგორც უნდა ისე მოიხმარს! თქვა პეტკას მამამ,— გეყოფათ, მოდი ერთი ლაზათიანათ გადავკრათ.

— რატომაც არა, უპასუხეს სხვებმა.

დიდხანს გაგრძელდა ამათი სმა და ქეიფი. ყმაწვილები მოიღალენ; პეტკამ იქვე ჩაიძინა. ზოგმა მოასწრო შინ წასვლა. ყველა ბავშვები ძალიან აღელვებულნი იყვენ. ძაღლებსაც კი შობა დაუდგათ, შობის ხეს ელირსენ და ესენი კი არაფერს არავისგან არ მოელოდენ. კოლიას ესიზმრა თავისი სოფელი, თავისი ოჯახი. ახლა იქ ვინ იცის რა მხიარულობაა! მერე მოეჩვენა, რომ ძაღლათ გადიქცა. შობის ხეს გარს დაუხტის, ჰყეფს, პელაგიაც აძლევს ძეხვის ნაჭერს...

* * *

შობა დილას ახმაურდა ყველა. ზოგი სად აპირებდა და ზოგი სად დროს გატარებას.

კოლია მისწვდა კალთაში პეტკას და უთხრა:

— მოდი, პეტკავ, ჩვენც გავიკეთოთ შობის ხე.— სთხოვე რომ შენ დედამ ნება მოგცეს.

პეტკამ ერთ წუთს უკან დაიწია. შობის ხე რა ამათი საქმეა

— გეფიცები, პელაგიამ მითხრა, გაიტანე, მამაშორე ეს შობის ხეო, მოდი ჩვენ წამოვიღოთ და შენთან დავდგათ. მე კიდევ ორი შაური მაქვს, შენ რამდენი ფული გექნება?

პეტკას თვალები გაუბრწყინდა.

— სამი შაური მაქვს დედამ მომცა.

— მე ერთი დიდი შაქრის პურიცა მაქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა კარგი იქნება! ტაში შემოჰკრა პეტკამ. ... ქცა დედასთან ნების ასალებათ

— მეც წავალ ამხანაგებთან, სხვებსაც ვეტყვი, ფულს მოვაგროვებ, მისძახა კოლიამ.

მატრონამ ჯერ ვერ გაიგო რასა სთხოვს პეტკა. მერე გაიცინა და თქვა:

— რატომ შვილო, დრო გაატარეთ. მე და ჩემი ქმარი სტუმრათ წავალთ. აი კიდევ ერთი აბაზი მომიცია.

— ოღონდ ფრთხილად იყავით, სახლს ცეცხლი არ წაუკიდოთ, დაუმატა მამამ.

პეტკა გაექანა კოლიასკენ და დაუყვირა: — ნება მომცეს, ნება

კოლია შეხტა — შემოტრიალდა სიხარულით. — აბა შეუდგეთ საქმეს.

— მოიტა ანიკავ შენი ფულიც, და დაშასაც გამოართვი, ნახავ რასაც მოვაწყობთ. და პეტკა და კოლია გაექანენ სანოვაგის საყიდლათ.

— ყმაწვილები შობის ხეს მართვენ, უთხრა მატრონამ მეზობლებს.

— შეშურდათ განა, რომ ძაღლებსაც კი გაუმართეს შობის ხე

ოთახში საერთო სიჩუმე ჩამოვარდა.

— რატომ არ შეშურდებათ .. წამოიძახა აგაფიამ, დაშას დედამ, — ცოდვა არიან, ყმაწვილებსაც უნდათ დროს გატარება. ჩემი დაშა ხოლო თორმეტი წლისაა, მაგრამ მხარში მიდგას, როგორც დიდი ისე შუშაობს. ჩვენ კი მაგათ მხოლოთ ვცემთ, რა სიხარულია მაგათთვის? შენ რაღას იტყვი მატრონა შენ შვილებზე?

— ხუთ მანეთამდის მომიტანეს ამ დღესასწაულებში.

— ჩვენ მხოლოთ არაყის სმა ვიცით, თქვა მეზობელმა მიტრომ, — დაიჭი ეს ფული, მიეცი ყმაწვილებს, იყიდონ ტკბილეულობა, დრო გაატარონ.

— ჩემგანაც აიღე, მატრონავ, ეს ათი შაური, გაუწვდინა ფული აგაფიამ, დეე ჩემმა დაშაძაც დრო გაატაროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სულ ძალლებმა არ გაატარონ დრო, ერთხელ ბავშვებმაც იქეიფონ, თქვა ხელ ახლათ მიტროფ —შენ, მატ-ტრონა, წადი უყიდე ყველაფერი, მე კი მოვიყვან გარმონიკაზე დამკვრელს, რომ უფრო გავამხიარულოთ ბავშვები.

— მეც გავყვები მატრონას ხილეულობის საყიდლათ, თქვა პეტკას მამამ.

* *

— აი აქ შემოვიტანოთ, აქ დავდგათ, ყვიროდა პეტკა და თან ისა და კოლია მოათრევდენ შობის ხეს, რომელიც წინა ღამეს ედგა ღენერლის ცოლს ძალლებისთვის

— დამეკარგენით აქედან, მომშორდით, დაიყვირა უცბათ მატრონამ.— გასწი კოლია შენ სახლში, წაიყვანე თან პეტკაც, აბა ჩქარა

ბიჭებმა თვალები დააჭყიტეს. გოგოებმა დააპირეს ტირილი. მაგრამ თითქოს რალაც ეჭვიც აიღეს. იქნება დედა თვითონ გვიპირებს შობის ხის მოართვასო

დაიწყეს მეზობლების დაპატიჟება არავინ კი არ იცოდა რა ამბავი იქნებოდა.— მოდით და ნახავთო, ეუბნებოდენ ყველას.

კოლიას მაინც იმედი არა ჰქონდა, პეტკას არ უჯერებდა, რომ შობის ხე ექნებოდათ მერე დაშამ უთხრა ამათ: მე ჰუპროლტანაში დავინახე, დიდი სამზეოისია. ამ დროს გამოვიდა აგაფია და დაუყვირა ყმაწვილებს:

— შემოდით, შემოდით ყველანი ოთახში!

* *

მატრონას დიდ ოთახში მართლა შობის ხე იდგა სანთლებით გაჩაღებული, ნამდვილათ ისე მორთული, როგორც ჩვეულებაა: ტკბილეულობით, ვარაყიანი კაკლებით, ვაშლებით და სათამაშოებით.

ერთი ყმაწვილი ბიჭი გაჩქარებით უკრავდა გარმონიკაზე.

ყმაწვილები პირდაღებული შედგენ, მერე მიუახლოვდენ ხეს.

— რა კარგია! თქვა სიომკამ.

— ვიშ რა ზარბაზანია! დაიყვირა კოლიამ.

— აი შენ ივის დედოფალა! უთხრა დაშას მხიარულათ მატრონამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აბა, დაუკარ, ყმაწვილებისთვის, რომ იცეკვაონ, დაიყვირა მიტროფ.

აგაფია კაბის კალთით ცრემლებს იწმენდდა და ამბობდა:

— საწყლები, სულ მუშაობენ, ერთხელ მაინც იმხიარულონ.

— მოდი ერთი სოფლურათ ფერხული გავაბათ. დაიყვირა კოლიამ

— მე გასწავლით, დაიყვირა მიტროფ, — როგორ უნდა ქეიფი და ჩააკლო ხელი მატრონას.

დაიწყეს ყველამ ცეკვა და მხიარულობა

ახლა ნამდვილი პატარა მუშების დღესასწაული იყო.

პელაგიამ და ლენერალშას მოსამსახურეებმა შემოიხედეს ფანჯარაში და ცხვირები გვერდზე წაიღეს.

— მითომ მაგათაც შობის ხე გამართეს, უთხრა პელაგიმ თავის ქალბატონს. — ხე ჩვენგან წაიღეს.

— შენ, პელაგია, დღეს არ გამოუშვა ძაღლები, თორემ ყველა ნასვამნი არიან და ვაი თუ ვინმემ რამე დაუშ[illegible] —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს ა რ ჩ ე ვ ი.

1910 წლის ჟურნალ „ჯეჯილისა“

პატარების განყოფილება.

ლექსები.

	№	გვერდი
ჯეჯილი ლექსი შ. მღვიმელისა	I	3
ზამთარი ნ. ზომლეთელისა	—	14
ბავშვებისაგან (ჯეჯილის იუბილეის გამო) —კისა	—	18
ბესო და გოგია (საახალწლო) ლადო გეგეჭკორისა	—	27
ტასიის (ჯეჯილის ოცი წლის გამო) გ. ქუჩიშვილისა	II	59
მეხრე მისივე	—	80
მელა ლექსი შიო მღვიმელისა	III	115
მარტი ასათ.—ჩეკურაშვილისა	—	120
ჯეჯილს (იუბილეის გამო) ბ. გელასი	—	127
ქრისტე აღსდგა! ლადო გეგეჭკორისა	IV	171
აღდგომა ლამეს ისაკ. ჩეკურაშვილისა	—	189
ვაშა გაზაფხულს ლამაზსა! ლადო გეგეჭკორისა	V	227
ცეცუნიები ა. ფხალაძესი	—	238
შოშია ლექსი ნ. ზომლეთელისა	VI	291
თამროს განკურნება ლექსი დ. თურდოსპირელისა	VII VIII	347
* * ლექსი ვ. რუხაძესი	—	358
ჩანჩქარი ანნა გარე—კახელისა	—	368
ალერსი გ. ქუჩიშვილისა	IX	435
ზღაპარი ბელურაზე (რუსულიდან) ბაბელინასი	—	447
მერცხალს ლექსი ლადო გეგეჭკორისა	X	49
თამრიკო და დედოფალა ვ. რუხაძისა	XI	547
პატარა თომა ნ. ზომლეთელისა	—	553
შობა ღილით დ. თურდოსპირელისა	XII	603
პატარა გლეხის სიმღერა პ. დვანელისა	—	626

მოთხრობები ორგინალური და ნათარგმნი.

	№	გვ.
თითების განგაში თარგმანი	I	11
ტრაბახა ცული თარგმანი ტასოსი	—	12

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვასო შესცდა ტ. ვეფხვაძისა . . . . . .
განუყრელი მეგობარი ლადო გეგეჭკორისა . . . . . — 19
არწივი და ფუტკარი თარგმანი შურასი . . . . . II 60
დღესასწაულზე მოთხრობა დ. თურდოსპირელისა . . . . — 63
საფლავის კარამდის მოგონება ან. წერეთლისა . . . . . — 71
დატკსაღებული ბულბული ლადო გეგეჭკორისა . . . . . III 121
პატარა ვაჭარი ეკ. გაბაშვილისა . . . . . IV 173
აღდგომა სოფელში ნინუასი . . . . . — 178
მაკაკა თარგმანი ეკ. მესხისა . . . . . — 1[illegible]0
V 240
ფულის პოვნა თარგმანი ტასოსი . . . . . — 228
ბელურას ჩივილი ლექსი პროზათ ლადო გეგეჭკორისა . . — 248
მწყემსი ამბავი ალ. მაჩაბელისა . . . . . VI 305
შრომაშია ბედნიერება! ასათიანი ჩეკუროვისა . . . . VII VIII 351
დარაჯი ბათუ ბ. გელასი. . . . . — 26[illegible]
პატარა გმირი სომხურიდან გულსადანიანისა . . . . . — 379
პუსეიმ როგორი დიდი თევზი დაიჭირა თარგმანი ტასოსი. — 372
სიმდიდრე თარგმანი . . . . . IX 437
კარგი წერილი თარგმანი ტასოსი . . . . . — 438
ბუტია ამბავი ტერმიქელიანცისა სომხურიდან ყ. კ—ნისა — 454
ჯარის ბებერი ცხენი (ჟურავსკიდან) . . . . . X 493
ნუშას დედოფალა ამბავი ფილიმონ სირაძისა . . . . . XI 555
ლიოსი მოთხრობა ლევ. ტოლეტოისა თარგ. ა. ფ—სი . — 559
წმიდა ღობე ლაგერლუფისა თარგმანი ფ. . . . . XII 605
უცნაური კაცი თარგმანი ტასოსი . . . . . — 610
მოტანტალე მუმუსიკენი მოთხ. ტომას გოლლინისა თარგმ.
ნ. ბაქრაძისა . . . . . — 698

ბუნემის მეჯუვილებიდან.

ნიანგის დარაჯი თარგმანი ტასოსი . . . . . II 61
მეგობრის განთავისუფლება შურასი . . . . . — 117
ჭია მაია. ივანე ელიაშვილისა . . . . . III 135
არაბის ოჯახი უდაბნოში ა. ფ—ასი. . . . . V 230
ნადირობა სპილოებზე ტასოსი . . . . . — 252
ამხანაგის გატანა თარგმანი ტასოსი . . . . . VI 292
ჩემგულა თარგმანი ტასოსი . . . . . — 315
არწივის ფიქრები ბოგდანოვისა ან. წერეთლისა . . . . VII VIII 372
გონიერი ღორი . . . . . IX 436

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუცხოვო კუთხე თარგმანი ა. ფ—სი X
დედობრივი გრძნობა ორანგ—უტანგში . . . . . XI 549
ჟურნალი და ცხვარი თარგმანი იტალ. . . . . — 551
ჰატარა სპილო მოთხრ. კიპლინგისა, თარგმ. ა. ფ—სი . . XII 617

ოგბეები, ზღაპრები ჩვენი და უცხოეთისა.

ზარმაცი ანდრია ზღაპარი ალ. მაჩაბელისა . . . . . II 75
თუთიყუში თარგმანი ან. წერეთლისა . . . . . — 82
„ირმის ნახტომი" ლევ. ტოლსტოისა თარგმანი ტასოსი . . III 118
ქიდა ასბერნსონისა თარგმანი ან. წერეთლისა . . . . . — 129
ორი ბაყაყი ფრანგულიდან ვ. დონდუასი . . . . . IV 186
როგორ დიასახლისობდა ქმარი ასბერნსონისა თარგმანი ან. წერეთლისა . . . . . V 234
ულგულო გოლიათი ასბერნსენისა თარგმ. არანათიისა . . . VI 284
ჰატარა ზღაპარი მისივე, თარგმანი . . . . . VII VIII 349
ახალგაზრდა მონადირე შვედური ზღაპარი VI
იასამანმა როგორ მოიხსნა ვაშლი თარგმანი შურასი . . . — 369
არაბი და გველი თქმულობა თარგმანი ტასოსი . . . . X 495
ერთი ახალგაზდა ლომის ამბავი თარგმანი ტასოსი . . . — 499

სხვა და სხვა ამბები.

ბედნიერი მეცხვარე . . . . . I 56
ფოთლები და ფესვები . . . . . — —
ბელიების შესახებ . . . . . II 112
ყმაწვილის თავგანწირვა . . . . . III —
სტუდენტი—ექიმი ლუი ბახი . . . . . — 167
მაცხოვრის ცნება . . . . . — 168
უდიდესი კანონი . . . . . —
გმირი ბავშვი . . . . . VI 34
IV 486
ქალი მონადირე . . . . . X 543
ყარანდაში . . . . . XI 600

ჯეჯილის იან რის ნომერში დაბეჭდილი იყო ჟურნალის ოცი წლის არსებობის შესახებ ეკ. გაბაშვილის მოწოდება და ან. წერეთლის „ჰატარა მეგობარნო".

წლ ს განმავლობაში ი ეჭდებოდა სხვა და სხვა სუ-თებ ე დაწერილი ამბები, გასართობები და წვრილმანი.

ამ წლის ნომერში მოთავსებულია წვრილმანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფროსების განყოფილება

ლექსები და პოემები.

ბესო და გოგია საახალწლო ლადო გეგეჭკორისა . . . . I 28
ობოლი დ. თურდოსპირელისა . . . . . — 48
გაზაფხულის პირი დ. თურდოსპირელისა . . . . . II 90
მისალმება და სხვა ლექსები. (ჯეჯილის იუბილეი ქუთაისში) III 141
ობოლი ლადო გეგეჭკორისა . . . . . — 150
საალდგომო გ. ქუჩიშვილისა. . . . . IV 200
ალსდგა გ. გორგაძისა . . . . . — 216
გაზაფხული გ. ქუჩიშვილისა . . . . . V 257
სურათი დ. თურდოსპირელისა . . . . . VI 325
ტყვე არწივი გ. ქუჩიშვილისა . . . . . VII VIII 390
ფუტკარი ლადო გეგეჭკორისა . . . . . IX 458
ყვავილი გ. ქუჩიშვილისა . . . . . X 521
დედის ვედრება დ. თურდოსპირელისა . . . . . XI 567
ქოხში—ბაბილინასი . . . . . XII 641

მოთხრობები ორიგინალური და ნათარგმნი

მიწის გულში კუპრინისა თარგმანი ეკ. მესხისა . . . . I 30
II 97
საწყალი ნონია ეკ. გაბაშვილისა . . . . . I 42
II 91
III 151
გაზაფხულის პირი დ. თურდოსპირებისა . . . . . III 144
მეგობარი გოშია ვილდენბრენისა თარგმანი გრ. ფ—სი. . — 161
IV 201
ალდგომის ბატკანი ეკ. გაბაშვილისა . . . . . — 205
რაინდი ოარგმანი ეკ. მესხისა . . . . . — 209
V 265
ერთი ძალლის ისტორია მარკ-ტვენისა თარგმანი ირ. ფერაძისა — 275
უკვდავება და სილამაზე ცქვიტისა . . . . . IV 326
ბიძიას ნაამბობი. ბავშვების ცხოვრებიდან ალექ. ნათაძისა VII VIII 391
IX 459
X 527
სებასტიან გომეცი თარგმანი ან. წერეთლისა. . . . . — 412
IX 476
ბუჩქებში გახიზნული ცქვიტისა . . . . . X 522
ღატაკი ხალხი ვიკტორ იუგოდან ნათარგმნი იტასი. . . — 537

უბედური შემთხვევა ამბავი ბ. გელაძი . . . . . XI 570
კავკასიის ტყვე ლევ. ტოლსტოისა თარგმანი ტ. ვეფხვაძისა — 582
XII 642
მეზობლები საშობაო ამბავი . . . . . — 649

ბუნების მეტყველებიდან, მოგზაურობა და სამეცნიერო სტატიები.

ხე-გვიმრა და ევქალიპტა ალექსი ჭიჭინაძისა. . . . . I 50
ფული.—გამოსადეგი ცოდნა ან. წერეთლისა . . . . . — 53
II 109
საუბარი მეცნიერებიდან ივ. გოგებართლისა . . . . . II 103
ტყე ცხელ ქვეყნებში ალ. ჭიჭინაძისა. . , ... III 157
შესანიშნავი ქვეყანა (მოგზაურობა ჩრდილოეთ ამერიკაში)
ან. წერეთლისა . . . . . IV 217
VI 338
IX 467
VII VIII 421
XI 596
დედა-მიწა და კუდიანი ვარსკვლავი (კომეტა) ზღაპრული ამ-
ბავი (შედგენილი) ივლიტა ნაკაშიძისა . . . . . V 258
VI 331
ცხოველები ცხელი ქვეყნისა ალ. ჭიჭინაძისა . . . . . — 282
ცხელი ქვეყნის ფველები ალ ჭიჭინაძისა . . . . . VII VIII 405
ფესლიანი ფველები ცხელ ქვეყნებში მასივე . . . . . X 531
ისაკრო (ქამელეონი) ალ ჭიჭინაძისა . . . . . XI 590

საქართველოს ისტორია შედგენილი ს. გორგაძისაგან ყველა ნომრებში იყო მოთავსებული ორი რუქათი.

ბიოგრაფია ჩვენი და უცხოეთისა.

მარიამ ივანეს ასული დემურია . . . . . I 29
ღვთისნიერი ექიმი თ. ბ. გააზი თასემანი ასათიანი—ჩეკურაშვი-
ლისა . . . . . — 36
მარკ ტვენი. ფ. . . . . , . V 273
გიორგი ივანეს ძე ნატრაძე . . . . . VII VIII 404
ნატალია გაბუნია-ცაგარლის გარდაცვალება . . . . . — 411
ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოი . . . . . XI 578

ზღაპრები ჩვენი და უცხოეთისა.

თავ-კერძა დევი ოსკარ უალდისა თარგმანი ან. წერეთლისა VII VII 399

Открыта подписка на 1911 годъ

НА ГАЗЕТУ

„Закавказская Рѣчь“

(Годъ изданія третій).

Главная контора изданія проситъ гг. подписчиковъ записаться на газету своевременно, чтобы можно было во время заготовить печатные адреса

Подписная цѣна

Съ доставкой на домъ:	Въ Тифлисѣ.	Въ провинціи.
На годъ	6 руб. — коп.	8 руб — коп.
„ полгода	3 руб. 50 коп.	4 руб 50 коп.
„ 3 мѣсяца	2 руб. — коп.	2 руб. 25 коп.
„ 1 мѣсяцъ	— 75 коп.	— 75 коп.

Подписка принимается въ Тифлисѣ, въ главной конторѣ газеты—на Эриванской площади, въ домѣ Харазовой, а также у всѣхъ казначеевъ и кассировъ казенныхъ и частныхъ учрежденій—причемъ казначеи и кассиры получаютъ за труды 5 проц.

Лица, подписавшіяся на годъ получаютъ газету въ декабрѣ безплатно.

Плата на заграничную подписку вдвое больше провинціальн.

Плата за объявленія: строка петита впереди текста—15 к. послѣ текста—10 к. Извѣщенія о зрѣлищахъ впереди текста—20 к.; съ объявителей внѣ Кавказа взымается впереди текста —24 к., позади—12 к.

АДРЕСЪ: Тифлисъ, редакція газ. „Закавказская Рѣчь“, Эриванская площадь, домъ Харазовой.

Для телеграммъ: Тифлисъ, „Закавказская Рѣчь“.

Редакторъ **Р. Д. Бебіевъ.**

Издатели: П. А. Готуа.
Кн. Г. І. Амираджиби.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა 1911 წლისათვის.

სახალხო გაზეთი

ყოველდღიური სამოლიტიკო და სალიტერატურო

მომავალ 1911 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც წარსულს წელს გამოდიოდა.

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექნება

სურათებიანი დამატება

დამატება გამოვა კვირაობით.

გაზეთის ფასი დამატებიანათ: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 მან.

ცალკე ნომერი ეფეღგან ერთი შაური. დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება „სახალხო გაზეთის“ კანტორაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ი. აკალიშვილთან.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Редакція „Сахалхо газети“.

ПОДПИСКА НА 1911 ГОДЪ.

на политическую, общественную и литературную ежедневную газету

„Закавказье“

(Годъ VI-й).

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

Съ доставкой въ Тифлисѣ:		Съ пересылкой въ другіе города:	
На годъ	6 р. — к.	На годъ	8 р. — к.
На полгода	3 р. 50 к.	На полгода	4 р. 50 к.

Помѣсячно повсюду 75 коп. Заграницу—вдвое.

За перемѣну адреса городского на иногородній—1 руб., съ иногородняго на городской—50 коп.

Объявленія внѣ предѣловъ Кавказа принимаются исключительно въ центральной конторѣ торговаго дома. Л. и Э. Метцль и К. въ Москвѣ, Мясницкая, д. Сытова, и въ отдѣленіяхъ, въ С.-Петербургѣ, Большая Морская, № 11, и въ Варшавѣ, Маршалковская, № 130, по 24 к. передъ текстомъ и 12 к. послѣ текста.

Редакція и контора помѣщается въ Тифлисѣ, на Дворцовой ул., въ домѣ грузинскаго дворянства.

Телефонъ редакціи 917. Телефонъ редактора 1035.

Редакторъ **М. В. Мачабели.** Издатель **Д. П. Мадчаваріани.**

ჯეჯილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი.

ოცდა მეორე წელიწადი.

მიიღება ხელის მოწერა 1911 წლის

გამოვა თვეში ერთხელ, ჟურნალში ორი განყოფილებაა, პატარებისათვის და მოზრდილთათვის.

ჟურნალი «ჯეჯილი» თბილისში ეღირება **4** მან, ქალაქ გარეთ (გაგზავნით) **5** მან. ნახევარი წლით **3** მან., ცალკე ნომერი **40** კაპ.

ქალაქ გარეთ მცხოვრებლებს შეუძლიანთ მიმართონ:

თელავში—კნ. ნ. ჩოლაევაშვილს,

სიღნაღში—კნ. ნ. ანდრონიკაშვილს.

ჭიათურაში—ნიკო წუწუნავას.

ბათუმში—მიხეილ კალანდაძეს.

ფოსტის ადრესი: Въ тифлисъ въ Ред. Грузынскаго дѣтскаго журнала „Джеджили“

რედ.—გამომცემელი **ან. თუმანიშვილი წერეთლისა.**